საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სამართლებრივი ანალიზი

კ ვ ლ ე ვ ა

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
დეკემბერი, 2014 წ.
ქ. თბილისი

კვლევაზე მუშაობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
არჩილ კაიკაციშვილი

სამუშაო ჯგუფი:

არჩილ კაიკაციშვილი
ანა კიკნაძე
ნინო ისაკაძე
ჯუმბერ სირაბიძე
ლევან ბერაძე
სოფიო კვალიაშვილი
ცაბო გუგუნაშვილი

ინიციატივა
კვლევა მომზადდა ორგანიზაციის სამართლის ჯგუფის მიერ

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წყაროს მითითებით.

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ცაბო გუგუნაშვილი – 599 010344

© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

შინაარსი[1]

შესავალი ----------

საკითხის ფაქტობრივი მხარე ----------

საკითხის სამართლებრივი მხარე ----------

საკითხის ანალიზი ----------

სარეკომენდაციო წინადადებები ----------

[1] მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

1. შესავალი

საქართველოში, საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დისკუსია, განსაკუთრებულად აქტიური 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებების შემდგომ გახდა, რა დროსაც, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, 2013 წლის მაისში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია შექმნილიყო. სახელმწიფომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრწეველობის კულტურული ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების წარსული. სწორედ, 2013 წლიდან გახდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამოხატველი საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები და სპეციალისტების შეხედულებებიც კვლავ ორი მიმართულებით ჩამოაყალიბა - დღემდე, ძეგლთან დაკავშირებით, ისტორიკოსებში, გეოლოგებსა და არექოლოგებში, არ არსებობს ერთიანი პოზიცია, თუ რომელ ეპოქაში და რა სახის საქმიანობას ეწეოდა ადამიანი საყდრის-ყაჩაღიანის ბორცვზე არსებულ ე.წ. მაღაროებში, მოპოვებდნენ თუ არა ოქროს აღნიშნულ ტერიტორიაზე, საზოგადოების წინაშეა არექოლოგიურ-კულტურული მნიშვნელობის ობიექტი თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ძეგლი.

საზოგადოებაში გრძელდება საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის საკითხთან დაკავშირებით დისკუსია, თუმცა საკითხი სამართლებრივი კუთხით უნდა შეფასდეს. აუცილებელია, საზოგადოება ფართოდ გაეცნოს საკითხის სამართლებრივ მხარეს და დადგინდეს, რამდენად საფუძვლიანია ძეგლის შესაძლო დაზიანებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, ყურადღებას დაუთმობს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან მიმართებით შემეგი სამართლებრივი საკითხების ანალიზსს:

1. რა სამართლებრივი მოქმედებები განხორციელდა საყდრის-ყაჩაღიანის ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან და შემდგომ მოხსნასთან მიმართებით;
2. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რა რეგულაცია მოქმედებს კულტურული, არქეოლოგიური ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან და მოხსნასთან დაკავშირებით;
3. საყდრის-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პროცესში, რამდენად მოქმედებდა სახელმწიფო კომპეტენციის ფარგლებში?
4. საყდრის-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით, რა სამართლებრივ მტკიდებულებებს ეფუძნება საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები?
5. საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხის მიმართ, როგორია სახელმწიფოსა და ინვესტორ კომპანიას შორის შეთანხმებების სამართლებრივი ანალიზი;
6. როგორ უნდა შეფასდეს საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხთან მიმართებით, სახელმწიფოს როლი, ინვესტორის უფლებები და საჯარო ინტერესი?

საქართველოში საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, მრავალმხრივი კვლევა არ მომხადრა, თუ არ ჩავთვლით, საკითხით დაინტერესებული ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, 2013-2014 წლებში გამოქვეყნებულ მონიტორინგის შედეგებს. ორგანიზაცია, აგრეთვე გაეცნო „საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2007 წლის მუშაობის ანგარიშს“ (ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, ა.ჰაუპტმანი, გ.შტეფენსი, 2007), „საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2009 წლის მუშაობის ანგარიშს“ (ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი), „საქართველოს ეროვნული მუზეუმის საყდრისი – ძეძვების 2010 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშს“ (ქართულ-გერმანული პროექტი, ხელმძღვანელი: დოქტ. ირინე ღამბაშიძე, 2010), „საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშს“ (21/10/13-21/11/13), „საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე არქეოლოგიური საველე სამუშაოების მონიტორინგის ანგარიშს“ (2013), „საყდრისის არქეოლოგიური

ექსპედიციის 2013 წლის საველე სამუშაოების ანგარიშს“ (ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი, ფ. კლაინი, 2013) და „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაცია)“ პროექტზე გაცემულ #15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას (03/04/14). ამასთან, გაცნობილ იქნა საყდრის-ყაჩაღიანის ობიექტის სტატუსთან დაკავშირებით მიღებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები, სახელმწიფო უწყებებს შორის არსებული წერილობითი კომუნიკაცია, ინვესტორი კომპანიის მიმართვები, სასამართლო გადაწყვეტილებები, კულტურული ძეგლის სტატუსთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო გამოცდილება.

ორგანიზაცია კვლევაზე მუშაობის პროცესში, გაეცნო პერიოდულ პრესაში საკითხზე გამოქვეყნებულ სტატიებს, მასალებს, ინტერვიუებსა და სპეციალისტების, საექსპერტო საზოგადოების მოსაზრებებს. ორგანიზაციამ საკითხზე ანალიზი მოამზადა სხვადასხვა საჯარო უწყებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე. 2014 წლის ოქტომბერში, შეხვდა კომპანია „RMG Gold”-ის წარმომადგენლებს. 2014 წლის 1 ნოემბერს, სამართლის ჯგუფი უშუალოდ იმყოფებოდა საყდრის-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე და ადგილზე დაათვალიერა ობიექტი. შესაბამისად, კვლევა ინფორმაციულად მდიდარია და გააჩნია საქმიანი დოკუმენტის პრეტენზია, თუმცა შესაძლებელია, წარმოდგენილ მსჯელობასთან დაკავშირებით, ცალკეულ სამოქალაქო ჯგუფებს, გააჩნდეთ ალტერნატიული შეხედულებები და არგუმენტაცია, რომელსაც ორგანიზაცია ყურადღებით გაეცნობა. ვფიქრობთ, რომ მხოლოდ საკითხზე საგნობრივ მსჯელობას შეუძლია არსებითი წარმოდგენები შექმნას პრობლემურ მხარეებზე. შესაბამისად, კვლევის მიზანია, წინასწარი განწყობების ნაცვლად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, საკითხთან მიმართებით, ხელი შეუწყოს ობიექტური შეხედულებების გაჩენას და განვითარებას.

2. საკითხის ფაქტობრივი მხარე

ორგანიზაციამ 2014 წლის 16 ოქტომბერს წერილით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა:

1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, 2013 წლის 28 მაისის ბრძანება 03/82 „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შესახებ“;

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2013 წლის 30 ივნისის დასკვნა;

3. ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2014 წლის 30 მაისის, 2014 წლის 5 ივნისისა და 2014 წლის 30 ივნისის სხდომის ოქმები;

4. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება 03/108;

5. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 იანვრის ადმინისტრაციული აქტი #01/08-107;

6. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ი. ღამბაშიძის, თ. შტოლნერისა და ფ. კლაინის მიერ განხორციელებული „საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2013 წლის საველე სამუშაოების ანგარიში“. (14.08.2013 – 6.09.2013);

7. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 14 აგვისტოს #2/116 ბრძანების საფუძველზე, არქეოლოგიური სამუშაოების ზონაში მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის ანგარიში;

8. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეთვალყურეობით, შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ განხორციელებული „საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. (21.10.2013-21.11.2013);

9. 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის მარტის რეკომენდაციის საფუძველზე, თქვენი სამინისტროს მეშვეობით, კომპანია „RMG Gold”-ის მიერ წარმოებული სამუშაოების მონიტორინგის მიზნით, მოწვეულ იქნა თუ არა დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტები. ასეთი ფაქტის შემთხვევაში, გვაცნობეთ ექსპერტთა წრე და მოგვაწოდეთ ინფორმაცია მათი ჩართულობის შესახებ;

10. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, არსებობს თუ არა სამინისტროსა და კომპანია „RMG Gold”-ს შორის საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლთან მიმართებით, მოქმედებების განხორციელების მიზნით, რაიმე სახის შეთანხმება ან/და ხელშეკრულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დოკუმენტის ასლი;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 ოქტომბრის #11/11-5206 და 2014 წლის 11 ნოემბრის #11/11-5375 წერილის თანახმად, ორგანიზაციამ სრულფასოვნად მიიღო მოთხოვნილი ინფორმაცია. სამინისტროს 2014 წლის 30 ოქტომბრის წერილის თანახმად, კითხვაზე: არსებობს თუ არა სამინისტროსა და კომპანია „RMG Gold”-ს შორის საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლთან

მიმართებით, მოქმედებების განხორციელების მიზნით, რაიმე სახის შეთანხმება ან/და ხელშეკრულება, ნათქვამია, რომ „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კომპანია „RMG Gold“-ს შორის, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან მიმართებით, არანაირი შეთანხმება ან ხელშეკრულება არ არსებობს“.[2]

ორგანიზაციამ 2014 წლის 31 ოქტომბერს წერილით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა:

1. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის ბრძანება #3/133. ბრძანება და ბრძანებაზე თანდართული დოკუმენტის ასლი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 17 ნოემბრის #11/11-5511 წერილით, ორგანიზაციას მიეწოდა მოთხოვნილი ბრძანების ასლი და ბრძანებაზე თანდართული დანართი.[3]

ორგანიზაციამ 2014 წლის 16 ოქტომბერს წერილით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის მოწოდება:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეთვალყურეობით, შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ განხორციელებული „საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (21.10.2013-21.11.2013).

2. ინფორმაცია, 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რა ჩართულობას ახორციელებს საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის შემდგომი შესწავლის და გამოკვლევის მიზნით? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ამომწურავად.

3. ინფორმაცია, 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ახორციელებს თუ არა მონიტორინგს საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის მიმართებით, კომპანია „RMG Gold“-ის მოქმედებების მართლზომიერების შეფასების მიზნით?

4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რა სამართლებრივი კავშირი, გნებავთ ურთიერთობა გააჩნია საქართველოს მეცნიერებათა აკადამისასა და შპს „არქეოლოგთა გაერთიანებას“ შორის.

5. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, არსებობს თუ არა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და კომპანია „RMG Gold”-ს შორის საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლთან მიმართებით, მოქმედებების განხორციელების მიზნით, რაიმე სახის შეთანხმება ან/და ხელშეკრულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დოკუმენტის ასლი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის 11 ნოემბრის #010107-397/444 წერილის თანახმად, ორგანიზაციას მიეწოდა შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ განხორციელებული „საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (21.10.2013-21.11.2013)“ და გამოხმაურება მომზადდა დასმული კითხვების მიმართ. ორგანიზაციას ეცნობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, არქეოლოგ კიაზო ფიცხელაურის წერილი, რომლის თანახმადაც, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2013 წლის 21 ოქტომბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით, „საყდრისი-ყაჩაღიანი“ არქეოლოგიურ ობიექტზე არქეოლოგიურ სამუშაოებზე გაწეული ზედამხედველობის შემდეგ, ძეგლის შესწავლაში და გამოკვლევაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არ მონაწილეობდა. 2014 წლის 16

[2] *საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 ოქტომბრის #11/11-5206 წერილი*
[3] *საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 17 ნოემბრის #11/11-5511 წერილი.*

ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არ ანხორციელებს მონიტორინგს „საყდრისი-ყაჩაღიანი“ ძეგლებთან მიმართებაში კომპანია „RMG Gold”-ის მოქმედებების მართლზომიერების შეფასების მიზნით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას არავითარი სამართლებრივი კავშირი ან ურთიერთობა არ აქვს შპს „არქეოლოგიურ გაერთიანებასთან“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და კომპანია „RMG Gold”-ს შორის „საყდრისი-ყაჩაღიანი“ ძეგლთან მიმართებაში მოქმედების განხორციელების მიზნით, არ არსებობს არავითარი შეთანხმება ან ხელშეკრულება“.[4]

ორგანიზაციამ 2014 წლის 24 ოქტომბერს წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა:

1. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2014 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით, თქვენს სამინისტროს რა სახის რეკომენდაციები, დასკვნები და გადაწყვეტილებები აქვს მიღებული საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხთან დაკავშირებით? გთხოვთ, მოგვაწოდოთ საკითხთან დაკავშირებით არსებული ყველა დოკუმენტი.

2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2014 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით, რა გადაწყვეტილებები აქვს მიღებული თქვენს სამინისტროს, გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით, საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხზე? გთხოვთ, მოგვაწოდოთ საკითხთან დაკავშირებით არსებული ყველა დოკუმენტი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 7 ნოემბრის #6433 თანახმად, ორგანიზაციას მიეწოდა სამინისტროს მიერ 2014 წლის 3 აპრილს შპს „RMG Gold”-ის „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაცია)“ პროექტზე გაცემული #15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, სამინისტრომ განმარტა, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის მიერ გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ითვალისწინებს წიაღისეულის გადამუშავებას (საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვა) და არა მოპოვებას. მოწოდებულ ინფორმაციას, აგრეთვე, თან ერთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „RMG Gold”-ის „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაცია)“ პროექტის ეკოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებული დოკუმენტაციაც.[5]

ორგანიზაციამ 2014 წლის 16 ოქტომბერს წერილით მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა:

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 14 აგვისტოს #2/116 ბრძანების საფუძველზე, არქეოლოგიური სამუშაოების ზონაში მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის ანგარიში.

2. ინფორმაცია, 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რა ჩართულობას ახორციელებს საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის შემდგომი შესწავლის და გამოკვლევის მიზნით? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ამომწურავად.

---

[4] *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2014 წლის 11 ნოემბრის #010107-397/444 წერილი.*

[5] *საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 7 ნოემბრის #6433 წერილი.*

3. ინფორმაცია, 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ახორციელებს თუ არა მონიტორინგს საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის მიმართებით, კომპანია „RMG Gold“-ის მოქმედებების მართლზომიერების შეფასების მიზნით?

4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, არსებობს თუ არა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კომპანია „RMG Gold”-ს შორის საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლთან მიმართებით, მოქმედებების განხორციელების მიზნით, რაიმე სახის შეთანხმება ან/და ხელშეკრულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დოკუმენტის ასლი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 ოქტომბრის #12/09/1576 წერილის თანახმად, ორგანიზაციას მიეწოდა „საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე არქეოლოგიური საველე სამუშაოების მონიტორინგის ანგარიში“ და „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და „RMG Gold”-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ არსებული მემორანდუმი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ ორგანიზაციის მიმართ წერილში განმარტა, რომ „2014 წლის 2 ივლისს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინიცირებითა და ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: გერმანულ-ქართული ექსპედიციის ხელმზღვანელი პროფ. თომას შტოლნერი, ასევე, საქართველოს ერონული მუზეუმის, კომპანია „RMG Gold”-ისა და საქართველოში გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები. აღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხის გადასაწყვეტად საუკეთესო წინადადებების შემუშავება, რომელიც შეჯერებული და მისაღები იქნება ორივე მხარისთვის (ეროვნული მუზეუმი და კომპანია). სამუშაო შეხვედრის შედეგად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პლატფორმაზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კომპანია „RMG Gold”-ის წარმომადგენლებისგან შედგა სამუშაო ჯგუფი, რომელიც „საყდრისი-ყაჩაღიანის პრობლემის თაობაზე“ საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე:

- განიხილავს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის ბატონი თომას შტოლნერის მიერ შემოთავაზებულ საყდრის ყაჩაღიანზე განსახორციელებელი წინადადებების შესაძლებლობის ადეკვატურობას-განხორციელების რეალისტურობისა და მონაწილე მხარეების შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- შეაჯერებს მხარეთა მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ მოსაზრებებს და შეიმუშავებს საყდრის ყაჩაღიანის უბანზე განსახორციელებელი ქმედებების ყველა მხარისათვის შესაძლებელ (მისაღებ) კონცეფციას;
- მოამზადებს საბოლოო კონცეფციის შეთანხმებულ ვერსიას შესაბამისი არგუმენტაციითა და განხორციელების სავარაუდო პერიოდებით, რომელიც განსახილველად წარედგინება საქართველოს მთავრობას და ასევე, დაინტერესებულ საზოგადოებას.“

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, „აღნიშნულ ეტაპზე, მხარეებს შორის მიმდინარეობს წინადადებების განხილვა-შეჯერება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს მხარეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეჯერებულ კონცეფციის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას.“

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილით აღნიშნულია, რომ „სააგენტოსა და კომპანიას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში (მემორანდუმის გაფორმებიდ თარიღი - 25/03/14 - ორგ.), კომპანიის მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუსაოების განხორციელების ფაქტი არ დაფიქსირებულა. მ/წ 23 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით, სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა და შესაბამისი

სპეციალისტების მიერ ხორციელდებოდა საყდრის-ყაჩაღიანის ბორცვის, განსაკუთრებით კი, მისი ნაწილის (სადაც წლების მანძილზე არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებდა ქართულ-გერმანული ექსპედიცია) სისტემატური მონიტორინგი და ტერიტორიის ფოტოგრაფირება. შემდგომ პერიოდშიც სააგენტო პერიოდულად ახორციელებს ტეროტოროაზე არსებული ვითარების მონიტორინგს. ვინაიდან მონიტორინგისას, ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა სამუშაოთა მიმდინარეობის არცერთი ფაქტი და შესაბამისად, რაიმე სახის სამართალდარღვევა, მონიტორინგის ჯგუფი არ იყო ვალდებული განეხორციელებინა შესაბამისი ანგარიშების შედგენა. მათ მიერ ხორციელდებოდა მხოლოდ ტერიტორიის ფოტოგრაფირება." - ნათქვამია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილში.[6]

ორგანიზაციამ 2014 წლის 16 ოქტომბერს წერილით მიმართა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს და მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა:

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ი. ღამბაშიძის, თ. შტოლნერისა და ფ. კლაინის მიერ განხორციელებული „საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2013 წლის საველე სამუშაოების ანგარიში". (14.08.2013 – 6.09.2013)

2. ინფორმაცია, 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რა ჩართულობას ახორციელებს საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის შემდგომი შესწავლის და გამოკვლევის მიზნით? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ამომწურავად.

3. ინფორმაცია, 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ახორციელებს თუ არა მონიტორინგს საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის მიმართებით, კომპანია „RMG Gold"-ის მოქმედებების მართლზომიერების შეფასების მიზნით?

4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, არსებობს თუ არა საქართველოს ეროვნული მუზეუმსა და კომპანია „RMG Gold"-ს შორის საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლთან მიმართებით, მოქმედებების განხორციელების მიზნით, რაიმე სახის შეთანხმება ან/და ხელშეკრულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დოკუმენტის ასლი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 27 ოქტომბრის #09/08-1254 წერილის თანახმად, ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი სახის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, „2004-2013 წლებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, არქეოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტების მონაწილეობით, აწარმოებდა საყდრისის მაღაროების ტერიტორიის კვლევას. აღნიშნულთან დაკავშირებით საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფი აწარმოებს ინტერდისციპლინური კვლევის შედეგების ანალიზს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ახორციელებს რაიმე სახის აქტივობებს. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი არ აწარმოებს საყდრისის არქეოლოგიური უბნის მონიტორინგს. საქართველოს ეროვნული მუზეუმსა და კომპანიას „RMG GOLD" შორის საყდრისის არქეოლოგიური უბანთან დაკავშირებით, არ არსებობს რაიმე სახის შეთანხმება ან ხელშეკრულება".[7] ამასთან, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმმა ორგანიზაციას მიაწოდა „საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2013 წლის საველე სამუშაოების ანგარიში (14.08.2013 – 6.09.2013)."

და ბოლოს, ორგანიზაციამ 2014 წლის 16 ოქტომბერს, წერილით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის მიღება:

---

[6] *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 ოქტომბრის #12/09/1576 წერილი.*

[7] *საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 27 ოქტომბრის #09/08-1254 წერილი.*

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ნათია ბუსკაძის მიერ 2014 წლის 30 მაისის განჩინება საქმეზე: #3/1654-14.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ინგა კვაჭანტირაძის მიერ 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: #3/3877-13

3. ინფორმაცია, 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, მიმდინარეობს თუ არა ახალი დავა საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის საკითხთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი მხარეს წარმოადგენს შპს „RMG Gold". ასეთი დავის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქმის განმხილველი მოსამართლის და დავის მხარეების შესახებ.

4. ინფორმაცია, 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს აქვს თუ არა კიდევ სხვა გადაწყვეტილება გამოტანილი, რომლის ერთ-ერთი მხარეა შპს „RMG Gold", ხოლო დავის საგანს წარმოადგენს საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლთან დაკავშირებული მოქმედებების საკითხი. ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ გადაწყვეტილებისს/განჩინების ასლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის წერილის თანახმად, ორგანიზაციას მიეწოდა 2014 წლის 30 მაისის განჩინება საქმეზე: #3/1654-14 და 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: #3/3877-13 (დაშტრიხული სახით). რაც შეეხება ინფორმაციას, იურიდიული პირის მიერ წარმოებული სასამართლო დავების შესახებ, სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისწავდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ამ ნაწილში დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა".[8]

[8] *თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის #3-01113/620952 წერილი.*

3. საკითხის სამართლებრივი მხარე

საქართველოს პარლამენტმა, ქვეყნის დამოუკიდებლობის და თავისუფალი კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების პროცესში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამართლებრივ რეგულირებაში არსებული გამოწვევებისა და საკანონმდებლო ხარვეზის გათვალისწინებით, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სტრატეგიისა და სამართლებრივი ჩარჩოს მომზადება, მთელი აუცილებლობით დაისახა, ვინაიდან 1999 წლის ივნისამდე, საქართველოში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს არეგულირებდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1977 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონი: „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

საქართელოს პარლამენტმა, 1999 წლის 25 ივნისს, მიიღო ახალი კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, რომელმაც თვისობრივად ახალი პრინციპები და მიდგომები შექმნა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. ახალი სამართლებრივი რეგულაცია დაეფუძნა საქართველოში ჩამოყალიბებულ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტრადიციების ასახვას, საერთაშორისო გამოცდილების შემოქმედებით გააზრებას, სახელმწიფოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოქმედ სამართალსუბიექტთა თანასწორუფლებიანობას, საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტის შენარჩუნებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციურ სრულყოფას, სამართალსუბიექტთა შორის კომპეტენციათა გამიჯვნის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის პრინციპებს.

1999 წლის 25 ივნისს მიღებულმა კანონმა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოაცხადა 1977 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონი: „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“. შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელიც 1977 წელს მიღებული კანონის: „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საფუძველზე არსებობდა, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვითაც, კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად.

2006 წლის 20 მარტის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, იმის გათვალისწინებით, რომ 1977 წლის კანონის საფუძველზე მიღებულ აქტებში, რომელიც 1999 წლის ივნისის ახალი კანონით გაქუმებულად გამოცხადდა, კონკრეტულ ობიექტებსა და კულტურის ძეგლებს, არ ჰქონდათ დაკარგული მხატვრული და კულტურული ღირებულება, როგორც საქართველოს უმნიშვნელოვანეს სულიერ და ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს, არსებობდა მათი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისთვის მომეტებული საჯარო ინტერესი, მიღებულ იქნა უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება. კერძოდ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანების საფუძველზე, 1977 წლის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ კანონის მოქმედების პერიოდში, ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებულ, სულ 4074 ობიექტს, მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანების საფუძველზე:

- ჩამოთვლილი ობიექტები შეტანილ იქნა უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიას, დაევალა, უმოკლეს ვადაში წარმოედგინა შესაბამისი დასკვნები ბრძანების დანართში ჩამოთვლილი ობიექტებისთვის (ძეგლებისათვის) კატეგორიის მინიჭების თაობაზე;

- ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოებს ეთხოვათ, წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები ძეგლებისათვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე;
- კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს ეთხოვა დანართში ჩამოთვლილი ობიექტებისთვის (კულტურის უძრავი ძეგლებისთვის) მოემზადებინა სააღრიცხვო დოკუმენტაცია;
- აღნიშნული ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა 2005 წელს მიღებული კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 9 ბრძანება მხოლოდ იმ ნაწილში, რის საფუძველზეც, დანართში ჩამოთვლილი ობიექტები, თავის დროზე, გამოცხადდნენ ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებად.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანების დანართში, რიგითი ნომრით: 2042, კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს, რომელიც დანართის ჩამონათვალში დასახელებულია, როგორც „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“. აღსანიშნავია, რომ როდესაც მინისტრის ბრძანების დანართში საუბარია ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე კულტურული მნიშვნელობის ძეგლების ჩამონათალზე, ასეთი ობიექტი, მუნიციპალიტეტში, სულ 78 გვხვდება. დანართში მოცემულია მათი რიგითი ნომერი, ძეგლის დასახელება, აგების თარიღი და ძეგლის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან მიმართებით, ბოლნისის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ძეგლებთან განსხვავებით, ერთადერთან გვხდება ცარიელი გრაფა, სადაც საუბარი არ არის ობიექტის სიძველის თარიღთან დაკავშირებით.

2006 წლის 17 ივლისს გამოიცა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანება #3/225-#1-1/616 „გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონის და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონისა დადგენის შესახებ“, რომლითაც დადგინდა დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა. (აღნიშნული ბრძანება გაუქმდა 2013 წელს).

2006 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება #665, რომლის მიხედვითაც, 500-მდე ობიექტს, მათ შორის საყდრისი-ყაჩაღიანს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. შესაბამისად, უნდა შევნიშნოთ, რომ 2006 წლიდან, რა დროსაც პრეზიდენტის ბრძანებულებითა და მინისტრის ბრძანებით, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი და საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავ ძეგლად გამოცხადდა, საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შეწყდა გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობდა 1994 წლიდან, სხვადასხვა კომპანიების მეშვეობით, სახელმწიფოს მხრიდან გაცემული ლიცენზიისა და ნებართვის საფუძველზე. მას შემდეგ, რაც 1950-იანი წლებიდან დაიწყო ფერადი ლითონების ერთ-ერთი უდიდესი – მადნეულის კომბინატის მშენებლობა თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 80 კმ-ის მოშორებით, სრულიად დაუსახლებელ ტერიტორიაზე დაარსდა დიდი სამრეწველო დასახლება – დაბა კაზრეთი. 1975 წელს ექსპლუატაციაში შესული კომბინატი ახორციელებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მოპოვებული სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქტის რეალიზაციას. საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიების უფლებამონაცვლეობისა და ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ისტორია ასეთია: 2005 წელს, „მადნეულისა“ და „კვარციტის“ პრივატიზების შედეგად, საწარმოების მფლობელი გახდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია „სთენთონ იქვითიზ ქორფორეიშენს“, რომელიც წარმოადგენდა რუსული „პრომიშლენი ინვესტორის“ შვილობილ კომპანიას. 2012 წლიდან საწარმოების მფლობელი კვლავ რუსული კომპანია „კაპიტალ ჯგუფი“ გახდა. 2012 წელს მფლობელის გამოცვლასთან დაკავშირებით, სს “მადნეულს“ დაერქვა RMG Copper-ი, ხოლო შპს „კვარციტს“ RMG Gold-ი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N18 განკარგულების საფუძველზე, გამოცხადდა სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის აუქციონის სალიცენზიო პირობები. მთავრობამ აუქციონის საწყის ფასად განსაზღვრა 110 00 0000 ლარი, ლიცენზიის მოქმედების ვადად კი - 27 წელი. მთავრობის მხრიდან შემოთავაზებული პირობების მიხედვით, ლიცენზიის ძალაში შესვლის თარიღად დასახელდა 2014 წლის 15 აპრილი. სალიცენზიო პირობებში საგანგებოდ იქნა აღნიშნული, რომ აუქციონი არ მოიცავდა (ლიცენზია არ გაიცემოდა) საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი გააჩნდა. დღეის მდგომარეობით, „RMG-Gold" 2015 წლის 1 იანვრამდე ფლობს სახელმწიფო ლიცენზიას, თუმცა 2006 წლიდან საყდრისი-ყაჩაღიანის #1 უბანზე შეჩერებული აქვს სამუშაოების განხორციელება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შპს „მაინინგ ინვესთმენთმა", 2012 წლის თებერვალში, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე, #1 უბნის გარდა, შეიძინა 27-წლიანი წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნული კომპანიების მესაკუთრე ერთი იურდიული პირი - „Reach Metal Group".

2013 წლის 26 აპრილს, კომპანია „RMG Gold"-მა, წერილობით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ითხოვა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე წიაღით სარგებლობისას, კომპანიის წინაშე არსებული პრობლემის მოგვარებაში სახელმწიფოს დახმარება. „RMG Gold"-ის წერილში ვკითხულობთ:

- 2004 წელს საბადოს კონტურის ფარგლებში, გეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარებისას, ნაპოვნი იქნა ძველი სამთო გამონამუშევრები (გვირაბები), რომელთაც 2006 წელს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის კატეგორია. ამასთან, სრულიად იგნორირებულ იქნა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ობიექტი მდებარეობდა უკვე ლიცენზირებულ საბადოზე.

- ზემოაღნიშნული გარემოება შეუძლებელს ხდის საყდრისის საბადოს უდიდესი ნაწილის დამუშავებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს საბადოს ეკონომიკური მნიშვნელობას და სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორის ინტერესს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძეგლს და მის დაცვით ზონას კვეთენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები, რაც პრინციპში, შეუსაბამოა ობიექტისათვის მინიჭებულ სტატუსთან...

- მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო წრეებში და არქეოლოგთა შორის ძეგლის ასაკთან, მნიშვნელობასთან და სტატუსთან დაკავშირებით არ არის ცალსახა დამოკიდებულება, ჩვენ მაინც მხოლოდ საკითხის ეკონომიკურ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. სამთამადნო საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი, მხოლოდ პირველი 7-8 წლის განმავლობაში 100 მლნ. დოლარს გადააჭარბებს, დასაქმდება 700-მდე ადამიანი (უმეტესწილად ადგილობრივი მოსახლეობა), ხოლო საშუალო ხელფასი 1000 ლარს გაუტოლდება.
- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ძეგლის დღევანდელი მდგომარეობაც. ამ სახით მისი არსებობა საშიშია სამთო გამონამუშევრების ჩამონგრევისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების სერიოზული რისკის გამო.

- ერთი მხრივ, კომპანიის მიზნების განხორციელების და, მეორე მხრივ ძეგლის გადარჩენა-შენარჩუნებისათვის ოპტიმალურ გზად გვესახება ძეგლის გადატანა ანალოგიურ და უსაფრთხო გარემოში, მისი შემდგომი რეკონსტრუქციით, არსებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით. ამის მოითხოვს თვით ძეგლის ინტერესიც, რადგანაც ამ შემთხვევაში, ჩნდება მისაღები ექსპოზიციის მოწყობის რეალური შესაძლებლობა.

- კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას თავისი სახსრებით განახორციელოს ძეგლის გადატანა იმგვარად, რომ არ დააზიანოს მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება. ხაზს ვუსვამთ, რომ ეს დასაშვებია მოქმედი კანონმდებლობით, რის მიხედვითაც, უძრავი ძეგლი მისი გადაადგილების შემდეგაც ინარჩუნებს ძეგლის სტატუსს.

2013 წლის 1 მაისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კომპანია „RMG Gold“-ის წერილი დამისამართებულ იქნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართ, შემდეგი რეზოლუციით: „გთხოვთ, განიხილოთ და უზრუნველყოთ შემდეგი რეაგირება“.

2013 წლის 28 მაისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის შემდგომი საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, შქმნილიყო სპეციალური კომისია. მინისტრის 2013 წლის 28 მაისის #03/82 ბრძანების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, იქმნებოდა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ალექსანდრე თვალჭრელიძე, ომარ ქუცნაშვილი, დავით ლომიტაშვილი, ვახტანგ ლიჩელი, გურამ მირცხულავა, ბესიკ მაცაბერიძე, თემურ ჩიხრაძე, ლალი ახალაია, პაატა გაფრინდაშვილი, გურამ ყიფიანი და გურამ გრიგოლია. მინისტრის ბრძანებითვე 11-წევრიან კომისიას მიეცა დავალება, 2013 წლის 30 ივნისამდე, ფაქტობრივად, ერთი თვის ვადაში, მოეხდინა კომისიის წინაშე დასმულ საკითხებზე დასკვნის მომზადება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებულმა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ, სულ ორი სხდომა გამართა - 2014 წლის 30 მაისსა და 2014 წლის 18 ივნისს.

- 2014 წლის 30 მაისის კომისიის სხდომის #1 ოქმის თანახმად, შეხვედრაზე განხილულ იქნა დაბა საყდრისის უძველეს სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები. კომისიამ აღნიშნა, რომ 2006 წლის 30 მარტს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მაშინდელმა სამინისტრომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი, ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე მიაკუთვნა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსს. „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“ სამართლებრივად არ უნდა მოხვედრილიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტის 30.03.2006 წლის 3/33 ბრძანების დანართში, რადგანაც არ წარმოადგენდა მისი რეგულირების საგანს და ამდენად, იგი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ იქნა შეტანილი ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტში. აგრეთვე, კომისიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ქმედება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევაც იყო, რადგანაც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა თავისი გადაწყვეტილება დაეფუძებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. კომისიამ აღნიშნა, რომ ასევე დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რაც გულისხმობდა, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. კრების ოქმის ბოლოს, კომისიის წევრების უმრავლესობამ დატოვა ჩანაწერი, რომელიც მიუთითებდა, რომ იდგა აუცილებლობა, ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა დადგენილიყო.

- 2014 წლის 18 ივნისის კომისიის სხდომის #2 ოქმის თანახმად, სხდომაზე განხილულ იქნა საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროსთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლის შედეგები. კერძოდ, საყდრისის საბადოს ზოგადი გეოლოგიური თავისებურებანი, ძეგლის მდგრადობა საინჟინრო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური თვალსაზრისით და ისტორიული გამონამუშევრების, სამთო დამუშავებისა და ტექნოლოგიური საკითხები. კომისიის შეფასებით, გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში, ოქროს მოპოვება საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე არ დასტურდება და ყაჩაღიანის უბანი ნამდვილად

არ წარმოადგენს ოქროს უძველეს მაღაროს. კომისიის აღნიშვნით, ძეგლის მდგრადობის კუთხით, გადაუდებლად საჭიროა ძეგლზე სათანადო ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნების გაკეთება, ხოლო შემდგომ აუცილებელი და სავალადებულოა ობიექტის სრული კაპიტალური გამაგრება, რაც მის ავთენტურობის დაკარგვას და სახეცვლილებას გარდაუვალს გახდის. კომისიამ ისტორიული გამონამუშევრების სამთო დამუშავებისა და ტექნოლოგიური საკითხების მსჯელობის დროს მიუთითა, რომ უფრო სარწმუნოა, რომ საყდრისის მაღაროში, ადგილი ჰქონოდა სპილენძის მადნების მოპოვებას და მისგან სპილენძის გამოდნობას. ამასთან, გამოდნობილი სპილენძი, შესაძლებელია, მცირე რაოდენობით შეიცავდა ოქროსაც, მაგრამ მისი დადგენა ოქროს სინჯური ანალიზის გარეშე, აბსოლუტურად გამორიცხულია. კომისიის შეჯერებული შეფასებით, „საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო“, სინამდვილეში ჩვეულებრივი სპილენძის ძველი მაღაროა, რომლის მსგავსიც, როგორც ბრინჯაოს ხანაში, ასევე მომდევნო პერიოდში, მრავლად არის დაფიქსირებული საქართველოს ტერიტორიაზე და არქეოლოგიური თვალსაზრისით, უნიკალურ მოვლენას ნამდვილად არ წარმოადგენს. კრების ოქმის ბოლოს, გვხდება კომისიის მხოლოდ ერთი წევრის, ბესიკ მაცაბერიძის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მართალია, გაეცნო პოზიციებს, მაგრამ საკითხებზე დამოკიდებულება საკუთარ კომპეტენციას აღემატება.

2014 წლის 30 ივნისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებულმა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, შეფასდა ძეგლისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების საკითხი და მისი გადატანის შესაძლებლობა. კომისიის დასკვნის მიხედვით, რომელსაც ბესიკ მაცაბერიძისა და პაატა გაფრინდაშვილის გარდა (მაგ: კომისიის წევრის, გურამ გრიგოლიას ხელმოწერის გასწვრივ აღნიშნულია: „საყდრისი არის საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი. მისი ბოლომდე შესწავლის გარეშე აღება დაუშვებლად მიგვაჩნია“), ხელი კომისიის ყველა წევრმა მოაწერეს, ნათქვამია:

1. საყდრისის ე.წ. „უძველესი ოქროს მაღარო“-სთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის და შემდგომ „ეროვნული კატეგორიის“ მინიჭება მოხდა სათანადო სამეცნიერო და იურიდიული საფუძვლების გარეშე, კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, როგორც საყდრისის საბადოზე ლიცენზიის მფლობელ კომპანიას, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საყდრისის საბადოს ათვისება საქართველოს-ეკონომიკური განვითარებისთვის, უკიდურესად სტრატეგიული პროექტია, რომლის განხორციელების გარეშე იქმნება კომპანიის საქმიანობის შეწყვეტის გარდაუვალი საფრთხე, მასთან დაკავშირებული უმძიმესი ეკოლოგიური, სოციალური თუ ეკონომიკური შედეგებით, რისი პირდაპირი მიზეზიც არის ზემოხსენებული კანონდარღვევა. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ვინაიდან ყადრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად აღმოჩნდა 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანების დანართში და მას კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი განესაზღვრა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს 25/06/1999 წლის კანონის მე-16 მუხლის, აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის აშკარა დარღვევით, მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, რათა გაატაროს ზემოაღნიშნული კანონდარღვევების აღმოსაფხვრელად, კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები;

2. საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ უძველესი ოქროს მაღაროს არსებობის დასაბუთება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა ანგარიშებისა და სხვა მასალების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობას. კომისიის აზრით, ეს გამონამუშევრები შეიძლება უკავშირდებოდეს

სპილენძის მადნის მცირე მასშტაბის მოპოვებას ადრეულ, შესაძლოა ბრინჯაოს ხანაში, რაც საქართველოსათვის, მათ შორის ამ რაიონებისთვისაც, ჩვეულ მოვლენას წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და წარმომადგენლობითი მრავალი კერაა დღემდე შემორჩენილი (არათანა, აფხაზეთი, რაჭა და სხვა). ამრიგად, საკვლევი ობიექტის, როგორც უძველესი ოქროს მაღაროს და, შესაბამისად, როგორც უნიკალური ძეგლის, განხილვა საფუძველს მოკლებულია;

3. სამთო გამონამუშევრების უდიდესი ნაწილი, წარმოდგენილი ვიწრო, უსწორმასწორო და დახრილი გვირაბებით არ არის და ვერც იქნება ხელმისაწვდომი არა თუ ვიზიტორებისთვის, არამედ მკვლევარებისთვისაც კი. მისი დღევანდელი, უსაფრთხოების თვალსაზრისით, მეტად საშიში მდგომარეობის და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელი და დაუშვებელია, ძეგლზე ნებისმიერი საკვლევ-საძიებო სამუშაოების განხორციელება ან/და ვიზიტორთა დაშვება;

4. ეთხოვოს კომპანია RMG-ს, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, მოაწყოს სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ბოლნისის ფილიალი და იქ, შეძლებისდაგვარად, გადატანილ იქნას არქეოლოგიური არტეფაქტები;

5. კომისია ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ დაუშვებელია საწარმოს ფუნქციონირების შემდგომი დაუსაბუთებელი, ხელოვნურად შეფერხება, რადგან ამგვარი მიდგომა სერიოზულად აზარალებს, როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს და პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს.

2013 წლის 5 ივლისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინიტრის მიერ მიღებულ იქნა #03/108 ბრძანება „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში, ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის შესახებ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 და 62-ე მუხლებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართში უკანონოდ ასახული, რიგითი №2042 „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი“.

2013 წლის 5 ივლისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად:

- სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტსა და იურიდიულ დეპარტამენტს დაევალათ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წარსადგენი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილებისათვის საჭირო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება 3 დღის ვადაში;

- სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

- სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალა სათანადო სამუზეუმო სივრცის შესაქმნელად და ამ სივრცეში საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მოპოვებული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების გადასატანად, კომპანია „RMG"-სა და სამინისტროს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მომზადება;

- საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის განხორციელებისთვის განისაზღვრა პერიოდი: 2013 წლის 15 სექტემბრამდე.

2013 წლის 8 ივლისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა #01/13-2785 წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მიაწოდა ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლებისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის შესახებ. მინისტრის მიერ პრემიერ-მინისტრის მიმართ გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ, უძველესი ოქროს მაღაროს არსებობის მეცნიერული დასაბუთება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა ანგარიშებისა და დასკვნების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობას. ზემოაღნიშნული შეფასებებისა და სახელმწიფო ინტერესის გათვალისწინებით, გამოცემული იქნა ბრძანება, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური ობიექტისთვის კანონის დარღვევით მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობას, ეროვნული კატეგორიის მოხსნისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, 2013 წლის 15 სექტემბრამდე არქეოლოგიურ ზონაში მდებარე ობიექტის საფუძვლიან შესწავლას და ა.შ. მიზანშეწონილია, რომ არქეოლოგიური ზონის სტატუსი ტერიტორიას მოეხსნას 2013 წლის 15 სექტემბერს, ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის დასრულების შემდეგ." (სტილი დაცულია)[9]

2013 წლის 10 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა ბრძანებულება #563 „კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის #665 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლთა ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა მე-13 პუნქტი, რომლის ძალითაც, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული ძეგლების ჩამონათვალიდან, პრეზიდენტმა ამოიღო.

2013 წლის 16 ივლისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ოფიციალური განმარტება გააკეთა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის გაუქმებისა და ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული ძეგლის ჩამონათვალიდან ამოღების შესახებ. სამინისტროს ოფიციალური განცხადება ეყრდნობოდა შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებს:

1. კომპანია "RMG"-ის 2013 წლის 26 აპრილის №034/13 განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ინიცირებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა. კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყო 11 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, 35 დღიანი მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, „საქართველოს

[9] *საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 ივლისის წერილი #01/13-2785 საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართ.*

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (1999-2007) საქართველოს კანონის დარღვევით ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ”, რომლის 77-ე მუხლის მიხედვით ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი ,,ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ”, რის შედეგადაც, „ნორმატიული აქტების შესახებ” 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვედებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1977 წლის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვითაც კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად.

2. იმის გამო, რომ ზემოაღნიშნულ ძველ სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ჰქონდათ დაკარგული კულტურული ღირებულება, „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ამავე ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მათ შორის აღმოჩნდა, აგრეთვე ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში მითითებული ობიექტი – საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროც, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისათვის, ხსენებული ობიექტი არცერთ ზემოაღნიშნულ (ძველ) სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

3. შესაბამისად „საყდრისი-ყაჩარიანის უძველესი ოქროს მაღარო”, სამართლებრივად არ უნდა მოხვედრილიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. #3/133 ბრძანების დანართში, რადგანაც არ წარმოადგენდა მისი რეგულირების საგანს და ამდენად იგი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ იქნა შეტანილი ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტში. აღნიშნული ქმედება, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის („ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“) და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა („დაუშვებელია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არაა გამოკლვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“). ასევე, დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. სამინისტროში არ მოიძებნა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო არქეოლოგიური ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი.

4. საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ უძველესი ოქროს მაღაროს არსებობის მეცნიერული დასაბუთება, არქეოლოგიური კუთხით, შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა ანგარიშებისა და დასკვნების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობას. კომისიის სხდომებზე წარდგენილი იქნა გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, მეტალურგიული, და მასალათა გამძლეობის

დასკვნები, რომელთა მსგავსი შინაარსიდან გამომდინარე, მიჩნეულ იქნა, რომ გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში, ოქროს მოპოვება საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე, არ დასტურდება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ადგილზე სიტუაციის შესწავლის შედეგად, მიღებული დასკვნის შესაბამისად, საყდრისის ტერიტორიაზე დაწყებული მადნის მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტა უპირობოდ გამოიწვევს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების არაკონტროლირებად ეფექტებს.

5. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2013 წლის 5 ივლისს, გამოცემული იქნა №03/108 ბრძანება, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური ობიექტისათვის კანონის დარღვევით მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობას. ამავე ბრძანების საფუძველზე, დაიწყო მუშაობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში მუზეუმის აშენების საკითხზე, სადაც განთავსდება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მოპოვებული კულტურული ღირებულების მქონე არტეფაქტები.

6. „საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის“ ტერიტორია ინარჩუნებს არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსს, შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას“.

7. აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური სამუშაოების დასრულებამდე და არქეოლოგიური დაცვის ზონის არსებობის პირობებში, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის უსაფრთხოება კანონით არის სრულყოფილად დაცული”.

2013 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება #03/130 „საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლის თანახმად, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა განეხორციელებინა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის პროცესის მონიტორინგი და ამ მიზნით, ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან, არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, შეექმნა სათანადო კომისია, რომლის ხელმძღვანელიც შეირჩეოდა კომპანია „RMG-Gold”-ის მიერ წარდგენილი კანდიდატურებისგან, ასევე, სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართების დეპარტამენტს დაევალათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის 1 ოქტომბრის გაუქმების მიზნით. ამავე ბრძანებით, კომპანია „RMG-Gold”-ს მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში ეწარმოებინა ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებდა ან არ შეუქმნიდა დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

2013 წლის 26 სექტემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრთამ ჩატარებულ სხდომაზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ეროვნულ მუზეუმსა და შპს „RMG-Gold”-ის ხელმძღვანელობას დაევალა სასწრაფოდ ჩაეტარებინა დასკვნითი არქეოლოგიური კვლევა-ძიება საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე მის საბოლოო მეცნიერულ შესწავლისათვის. შესაბამისად, საქართველოს მიცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 2013 წლის 30 სექტემბერს, ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლობითი შეხვედრის დროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვულმა აკადემიამ ითავა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე დასკვნითი არქეოლოგიური სამუშაოების პროექტის შედგენა და მის შესრულებაზე მონიტორინგი. შპს „RMG-Gold”-მა დაადასტურა მზადყოფნა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად -

ექსპედიციის შესადგენად, დასაფინანსებლად და მისი ყველა სამუშაოს ხელშეწყობისთვის. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს მიერ 2013 წლის 21 ოქტომბერს არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოებისთვის გაიცა ნებართვა. (სანებართვო მოწმობა #09/12/1387. 21.10.2013) არქეოლოგიური სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის დასავლეთით 3 კილომეტრის მოშორებით, ადგილ საყდრისი-ყაჩაღიანზე ჩაატარა შპს „არქეოლოგიურმა გაერთიანებამ“, ხოლო ექსპედიცია დააკომპლექტა კომპანია „RMG-Gold“-მა. აღნიშნულ დასკვნაში ვკითხულობთ: „ექსპედიციის მუშაობის შედეგად, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ - საყდრისი-ყაჩაღიანის შესასწავლი ბორცვის მთელი ცენტრალური და სამხრეთი ე.ი. მისი უდიდესი ნაწილი, აბსოლუტურად თავისუფალია არქეოლოგიური ობიექტებისგან. იგი ამ თვალსაზრისით, სრულიად სტერილური ჩანს იმის მიხედვითაც, რომ გათხრილ ფართობზე არქეოლოგიური ნივთის ერთი ფრაგმენტიც კი არ აღმოჩენილა... ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა XX საუკუნის მაღაროს ჩრდილოეთი მხარე, სადაც 3მ. სიგრძის და 3,5მ სიგრძის მიწის ფართობი იქნა აღებული. კლდოვანი ქანის გამო ვერ მოხერხდა 0,5მ სიღრმეზე მეტად დაღრმავება. შესწავლილ ფართობზე კულტურული ფენა და არქეოლოგიური მასალა არ გამოვლინდა. ასევე შემოწმებულ იქნა ის „შტოლნები“, სადაც გერმანული ექსპედიციის ანგარიშში ნახსენებია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენა. ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ეს ადგილიც სტერილური გამოდგა“. როგორც ანგარიშიდან ჩანს, ბორცვის მიმდებარედ შესწავლილია შუა საუკუნეების ე.წ. მარანი და ამავე პერიოდის სამაროვანი.

2013 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის #1436 განკარგულებით, გაუქმდა „გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონის და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრწეველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონისა დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის ერთობლივი #3/225-#1-1/616 ბრძანების მე-2 პუნქტი, დაბა საყდრისში სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა და მისი დანართი #2.

2013 წლის 19 ნოემბერს, კომპანია „RMG-Gold”-მა წერილობით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე, 21-ოქტომბერი-12 ნოემბრის შუალედში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშზე დაყრდნობით, საყდრის-ყაჩაღიანის #1 უბანზე წიაღისეულის მოპოვებისა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამუშაოების განსახორციელებლად, ნებართვა მოითხოვა.

2014 წლის 13 იანვრის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის #01/08-107 წერილის თანახმად, რომელიც გაეგზავნათ კომპანია „RMG-Gold”-ს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მინისტრის მხრიდან ნათქვამია შემდეგი: „რაც შეეხება ბორცვზე მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს, ანგარიშის მიხედვით, მისი არსებობა არ დასტურდება, რაც ეწინააღმდეგება საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე, ბოლო 7 წლის მანძილზე განხორციელებული კვლევების შედეგად შემუშავებულ ანგარიშებს, რომელთა მიხედვითაც, აღნიშნულ ტერიტორიაზე დასტურდება პრეისტორიული პერიოდის (ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა) კულტურული ფენები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ განხორციელებული სამუშაოების ანგარიშზე დაყრდნობით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ვერ გასცემს დადებით დასკვნას სალიცენზიო ტერიტორიის ამ მონაკვეთში წიაღისეულის მოპოვებასა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამუშაოების განსახორციელებლად. ამდენად, ობიექტის სრულად შესწავლის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, აღნიშნულ ბორცვზე ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები. ამ აზრს ერთსულოვნად ადასტურებენ, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის წევრები, ასევე საბჭოს სხდომაზე მოწვეული არქეოლოგები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წერილში ცალსახად

დაფიქსირებული პოზიცია საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს შესახებ“ - აღნიშნავს მინისტრი.[10] ამასთან, შევნიშნავთ, რომ ბოლო 7 წლის მანძილზე განხორციელებული კვლევების შედეგად შემუშავებული ანგარიშები, არ ყოფილა მიღებული „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და შესაბამისად, არც შესრულებული სამუშაოების მიღების ოქმები არსებობს. ამდენად, იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო სამინისტროს მიერ 2014 წლის 13 იანვარს დადებითი დასკვნის გაცემაზე უარი, ვინაიდან, მან მიუთითა ის „ანგარიშები“, რომლებიც არ ყოფილა კომპეტენტური ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული და აღიარებული. ცნობისთვის: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის 23 დეკემბრის #010107-397/517 წერილში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიმართ, ნათქვამია, რომ „საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, რვა წლის განმავლობაში, საყდრისში კვლევებს ატარებდა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მსოფლიოში წამყვან არქეოლოგიურ დაწესებულებას წარმოადგენს და რომლის კომპეტენცია და ავტორიტეტი, მსოფლიოში ეჭქვეშ არსად, არასდროს დამდგარა. რვა წლის განმავლობაში, ამ უარღესად ავტორიტეტული კვლევების საფუძველზე, გამოტანილი დასკვნების ეჭქვეშ დაყენება, მეტიც, გერმანელი მეცნიერების არაკეთილსინდისიერებაში დადანაშაულება, არაეთიკურ საქციელად მიგვაჩნია... მიგვაჩნია, რომ შედეგი გერმანელ მეცნიერთა სასარგებლო იქნება, რამაც არ შეიძლება არ აღძრას უხერხულობის განცდა, იმ მორალური ზიანის გამო, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო პრესტიჟს მიადგება. ვიმედოვნებთ, რომ ქართული მხარე, საკითხს საქართველოშივე გადავწყვეტთ და ეს საქმე ქვეყნის გარეთ განხილვის საგანი არ გახდება“.[11]

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 23/12/2013 წლის #010107-397/517 წერილისაგან განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდა 2013 წლის 3 დეკემბრის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიმართ გაგზავნილ #010107-397/493 წერილში, რომელსაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო აკადემიის კომისიის დასკვნა „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ არქეოლოგიური სამუშაოების მონიტორინგის შესრულების შესახებ. კერძოდ, 3 დეკემბრის წერილში და დასკვნაში მითითებულია:

- შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ საკვლევი სამუშაოები მხოლოდ ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, დასკვნა სრულფასოვნად უნდა ჩაითვალოს“;
- „სამუშაოები წარიმართა მთლიანი ბორცვის (საკვლევი ობიექტი) ყველა მიმართულებით“;
- „ექსპედიციის მუშაობა არქეოლოგიური გათხრის მეთოდიკის სრული დაცვით არის განხორციელებული“;
- „ბორცვი წარმოადგენს კლდოვან მასივს, ტექტონური ვიწრო ბზარებით, რომელთა გამოყენება მადნის მოპოვების მიზნით, ექსპედიციის მიერ ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგად, არ დასტურდება“;
- ექსპედიციის მიერ ასევე, შემოწმებული იქნა XX საუკუნის „შტოლნები“, სადაც გერმანული ექსპედიციის ანგარიშში ნახსენებია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად ეს ადგილიც სტერილური გამოდგა“;
- „ყოველივე ზემოაღნიშნული გვიბიძგებს, მოვუწოდოთ შესაბამის სპეციალისტებს, რომ ობიექტთან მიმართებაში არსებული ფაქტობრივი მასალის და არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, ობიექტის ფუნქციისა და თარიღის განსაზღვრას მეტი მეცნიერული სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნონ“;

---

[10] *საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 იანვრის წერილი #01/08-107 „RMG-Gold”-ს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის მიმართ.*

[11] *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის 2013 წლის 23 დეკემბრის #010107-397/517 წერილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიმართ.*

- „კომისია გაეცნო ექსპედიციის საველე დოკუმენტაციასაც, რომელიც მაღალ დონეზეა შესრულებული და უმაღლეს შეფასებას იმსახურებს“.[12]

2014 წლის 20 თებერვალს, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა #313 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კომპანია „RMG-Gold”-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 იანვრის #01/08-107 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - მიწის მსხვილ მასშტაბიანი სამუშაოების განსახორციელებლად დადებითი დასკვნის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და სამინისტროს დაევალა, შეესწავლა კომპანია „RMG-Gold”-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და ადმინისტრაციული განხილვის შედეგად, ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიეღო.

2014 წლის 25 თებერვალს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, მთავრობის განკარგულების საფუძველზე, წერილობით მიმართა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და კომპანია „RMG-Gold”-ის სალიცენზიო ფართობში მოქცეული საყდრისის ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებისა და საყდრისი-ყაჩაღიანის საარქივო ბიბლიოგრაფიული მასალის განხილვა და ამ მასალებზე დაყრდნობით, შესაბამისი კომპეტენტური დასკვნის მომზადება სთხოვა.

2014 წლის 6 მარტს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს #05/09/221 წერილით, წარუდგინა დასკვნა, რომლის თანახმადაც, სააგენტომ მიიჩნია, რომ საკითხთან დაკავშირებით არსებული მასალების კომპლექსური შეფასებების შედეგად, საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე, უძველესი ოქროს მაღაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა არ იყო დადასტურებული, რის გამოც, მიზანშეწონილი იყო კომპანია „RMG-Gold”-ს სამუშაოების გაგრძელების მიზნით, სამინისტროს მხრიდან მისცემოდა დადებითი დასკვნა. სააგენტოს 06/03/14 წლის კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგი ფაქტობრივი მასალის შესწავლას:

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის ფარგლებში ი. ღამბაშიძის, თ. შტოლნერისა და ფ. კლაინის მიერ განხორციელებული „საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2013 წლის საველე სამუშაოების ანგარიში“ (14.08.2013-6.09.2013)
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეთვალყურეობით შპს „არქეოლოგთა გაერთიანება“-ის მიერ განხორციელებული „საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშოების ანგარიში“ (21.10.2013-21.11.2013)
3. საქართველოს კულტურული მემკვირეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 14 აგვისტოს #2/116 ბრძნების საფუძველზე არქეოლოგიური სამუშოების ზონაში მიმდინარე სამუშოების მონიტორინგის ანგარიში;
4. თ. შტოლნერისა და ი. ღამბაშიძის ერთობლივ პუბლიკაციაში მოცემული ფაქტობრივი მასალა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ზემოთაღნიშნული წერილის თანახმათ, მასალების კომპლექსური შესწავლის შემდეგ, გამოიკვეთა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ოთხ ძირითად საკითხს: გეოლოგიური რეალობა, არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები და გათხრების შედეგები; დათარიღების მეთოდოლოგიის შესაბამისობა და მართებულობა და არქეოლოგიურ-ისტორიული ინტერპრეტაციები. „გამომდინარე იქედან, რომ საკითხის გარშემო მეცნიერების გარკვეულ წრეში, ჯერ კიდევ არსებიბს განსხვავებული მოსაზრება, საჭიროდ მიგვაჩნია, მოწვეულ იქნენ საერთაშორისო, დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც სააგენტოსთან ერთად, მონიტორინგს გაუწევენ კომპანია

[12] *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის 3 დეკემბრის #010107-397/493 წერილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიმართ.*

„RMG-Gold”-ის წარმოებულ სამუშაოებს, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავენ სავარაუდო არტეფაქტებზე მულტიდისციპლინარული კვლევების აუცილებლობას და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ხელშეწყობით განახორციელებენ მას“ - აღნიშნულია წერილში.[13]

2014 წლის 13 მარტს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის დასკვნის საფუძველზე, წერილით მიმართა კომპანია „RMG-Gold”-ს, რომლის თანახმადაც, ცნობილი გახდა, რომ სამინისტრომ სამთო სამუშაოების განხორციელების მიზნით, დადებითი დასკვნა გასცა.[14]

2014 წლის 25 მარტს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კომპანია „RMG-Gold”-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიხედვით, მხარეები საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მიმართ, იღებდნენ შემდეგ ვალდებულებებს:

> გამომდინარე იქედან, რომ კომპანია დაინტერესებულია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, საყდრისის სალიცენზიო ფართობის საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე წიაღისეული რესურსების ათვისებით, ამავდროულად, საზოგადოების გარკვეულ წრეში არსებობს სამეცნიერო დისკუსია აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით, კომპანია კისრულობს ვალდებულებას, განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:
>
> - სალიცენზიო-ფართობის საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, კომპანია უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ შერჩეული არქეოლოგებისა და გეოლოგებისგან დაკომპლექტებული საერთაშორისო ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობასა და სამთო სამუშაოების ისეთი სახით წარმოებას, რაც შესაძლებელს გახდის მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელებას;
> - კომპანია უზრუნველყოფს, სამუშაოების პერიოდში გამოვლენილი მეცნიერულად და ლაბორატიულად დადგენილი არტეფექტები და ისტორიული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, რომლებიც არქეოლოგიური კუთხით შეიძლება წარმოადგენდნენ კულტურულ ღირებულებას და საინჟინრო თვალსაზრისით შეიძლება დაექვემდებაროს გადატანას, სააგენტოს რეკომენდაციით, გადატანილ იქნას დროებით, შესაბამის სივრცეში;
> - უზრუნველყოფს ახალი სამუზეუმო სივრცის შექმნას, სააგენტოსთან შეთანხმებით, პროექტის შესაბამისად, საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე მოპოვებითი სამუშაოების დაწყებიდან ერთი წლის ვადაში;
> - ფინანსურად და ტექნიკურად უზრუნველყოფს ქვემო ქართლის რეგიონის არქეოლოგიური რუკის შედგენა;
> - კომპანია კისრულობს გრძელვადიან ვალდებულებას საქართველოს მაღალმთიანეთის ერთ-ერთ კუთხეზე, კერძოდ არხოტზე, იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა-აღწერა-პასპორტიზაციისა და შემდგომ მათი კონსერვაცია-აღდგენის მიზნით;
>
> სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კისრულობს ვალდებულებას:
>
> - შეიქმნას არქეოლოგებისა და ინჟინერ-გეოლოგებისაგან შემდგარი საერთაშორისო დამკვირვებლების დამოუკიდებელი ჯგუფი და უზრუნველყოს მონიტორინგის განხორციელება საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე ლიცენზიანტი კომპანიის მიერ წარმოებულ სამუშაოებზე;

---

[13] *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის #05/09/221 წერილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართ.*

[14] *საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 წერილი კომპანია „RMG-Gold”-ის გენერალური დირექტორის მიმართ.*

- შექმნას საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეცნიერულად და ლაბორატორიულად დადასტურებული იმ არტეფექტებისა და ისტორიული თვალსაზრისით ღირებული ელემენტების ჩამონათვალი, რომელიც შემდგომში დაექვემდებარება სამუზეუმო სივრცეში გადატანას;
- შეათანხმოს ახალი სამუზეუმო სივრცის პროექტი;
- გაუწიოს მეთოდური დახმარება და კონსულტაციები კომპანიას, არხოტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროცესში.

2014 წლის 5 მაისს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და პროფესორ ვენელინ ჟელევ ჟელევს, ალბრეხტ იოკენჰოვეს შორის გაფორმდა საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიზანს წარმოადგენდა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე, სამთო სამუშაოების გეოლოგიური და არქეოლოგიური მონიტორინგის უზრუნველყოფა, გეოლოგიური და არქეოლოგიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, საყდრისი-ყაჩაღიანის სრული დოკუმენტაციის შესწავლა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი ერთობლივი რეკომენდაციების შემუშავება.[15] ხელშეკრულების თანახმად, საექსპერტო სამუშაოების წარმოების პროცესში, მიზანს არ წარმოადგენდა მანამდე ჩატარებული გამოკვლევების გადაფასება. მეცნიერთა ჯგუფის ამოცანა გახლდათ იმ შეკითხვაზე პასუხი, თუ რა ზეგავლენას იქონიებს მოპოვებითი სამუშაოები საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე, აგრეთვე, იმის დადგენა, თუ რისი გაკეთება შეიძლება გადარჩენითი და შემამსუბუქებელი ღონისძიებების სახით. საყდრისი-ყაჩაღიანის პრობლემის თაობაზე მომზადებულ ანგარიშში, სარეკომენდაციო და დასკვნის სახით წარმოდგენილ დოკუმენტში, ვკითხულობთ:

- ორივე მხარე (მადნის მომპოვებლები და არქეოლოგები) დაჟინებით მოითხოვს საყდრისი-ყაჩაღიანის პრობლემის სასწრაფოდ გადაჭრას. ამისთის არსებობს სამი გზა. პირველ გზას წარმოადგენს ტერიტორიისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭება. მეორე გზა მადნის მოპოვების დაწყებაა, არსებული არქეოლოგიური მონაცემის ნაწილის უგულვებელყოფით. მესამე გზა კონსესუსის მიღწევაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტერიტორიაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ჩვენი დასკვნებისა და ასევე, საყდრისი-ყაჩაღიანის პრობლემის ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით, აგრეთვე მსგავსი პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით (მაგალითად, ადა თეპეს ოქროს საბადო ბულგარეთში), ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის ყველაზე რეალისტურ გზას წარმოადგენს ორივე მხარის მიერ კომპრომისზე წასვლა. ორივე მხარემ არ დაიშურა ძალისხმევა და სახსრები და აუცილებელია მათი პატივისცემა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანოებმა (შესაბამისად, სააგენტომ) უნდა დაარწმუნონ ორივე მხარე იმაში, რომ ერთადერთი მშვიდობიანი გამოსავალი აღნიშნულ სიტუაციაში არის შეხვედრის ორგანიზება, რათა მომზადდეს გადაუდებელი გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოებისა და მადნის მოპოვების პროცესში არქეოლოგიური მონიტორინგის გეგმა.

- ჩვენ, პროფესორი, დოქ. ვენელინ ჟელევი (ბულგარეთი) და პროფესორი ალბრეხტ იოკენჰოველი (გერმანია), რომლებიც ვმოქმედებდით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული, 2014 წლის 5 მაისის #3/112 და #3/111 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებამოსილებით, შევისწავლეთ ხელმისაწვდომი მასალები, საკითხი განვიხილეთ ქართველ გეოლოგებთან და არქეოლოგებთან ერთად, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებას იცავენ, შევხდით კომპანია RMG-ის წარმომადგენლებს და მათთან ერთად განვიხილეთ ტექნოლოგიური, სოციალური და არქეოლოგიური საკითხები,

[15] *სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და მეცნიერებს: ვენელინ ჟელევ ჟელევსა და ალბრეხტ იოკენჰოველთან, 2014 წლის 5 მაისს დადებული მომსახურების ხელშეკრულება #3/112 და #3/111.*

ვიმყოფებოდით ადგილზე და ჩავატარეთ საველე მონიტორინგი ცალკე კომპანიის წარმომადგენლებთან და ცალკე ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის ქართველ-წარმომადგენელთან ერთად. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, შევაგროვეთ ქვემოთწარმოდგენილი დასკვნების გაკეთებისთვის საჭირო მონაცემი.

- შეუძლებელია ყაჩაღიანის საიტის, როგორც არქეოლოგიური მუზეუმის აღდგენა in situ,რადგან ქართულ-გერმანული ექსპედიციის გათხრები დღესდღეობით არ არსებობს.

- ქართულ-გერმანული არქეოლოგიური პროექტი დასრულებულად არის მიჩნეული. შემდგომი გათხრების დროს, შესაძლებელია აღმოჩნდეს ახალი არტეფაქტები, თუმცა მოლოდინი ახალი აღმოჩენისა აღარ არის.

- მადნის მომპოვებელმა კომპანიამ უნდა გააგრძელოს მადნის მოპოვება, მაგრამ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუდმივი მონიტორნგისა და მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ და პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული სააგენტოს მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების მონიტორინგისა და ზედამხედველობის გათვალისწინებით.

- მადნის მოპოვებითი საქმიანობის განხორციელებისას, კულტურული შრეების ან არქეოლოგიური არტიფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, მადნის მოპოვებითი სამუშაოები დროებით უნდა შეჩერდეს სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, რათა არქეოლოგებს მიეცეთ შესაძლებლობა, გამოიკვლიონ და აღწერონ ეს კულტურული ფენა ან არტიფაქტები მაქსიმალურად მოკლე ვადაში.

- კომპანია „RMG-Gold”-მა უნდა ააშენოს რეგიონალური არქეოლოგიური მუზეუმი და სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, აღმოჩენილი არტიფაქტები უნდა გადასცეს მუზეუმს, რომელიც უზრუნველყოფს ბოლნისის მადნის რეგიონის მადნის მოპოვებითი საქმიანობის დემონსტრირებას.

- კომპანია „RMG-Gold”-მა უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები იმისთვის, რომ დასრულებულ იქნეს ლიცენზირებული რეგიონის ერთიანი არქეოლოგიური რუქა მსგავსი უხერხული პრობლემების თავიდან ასარიდებლად.

- იმ შემთხვევაში, თუ ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ჯგუფი გადაწყვეტს მონაწილეობის მიღებას მონიტორინგის ჯგუფში, კომპანია ვალდებულია თანხმობა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე იმ პირობით, რომ ხსენებული მონიტორინგი არ შეაფერხებს მადნის მოპოვებით სამუშაოებს.

ორგანიზაცია ცალკე ყურადღებას დაუთმობს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით, საერთო სასამართლოებში მიმდინარე საქმეთა განხილვის პროცესს. 2013-2014 წლებში, საქმეზე გამოტანილ იქნა ორი გადაწყვეტილება, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებული დავის საგნით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, სამართალწარმოება გრძელდება ამჟამადაც, თბილისის სააპელაციო სასამართლოში. საერთო სასამართლოების მხრიდან საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები, საყდრისი-ყაჩაღიანის პრობლემის განსჯისთვის, მიგვაჩნია, რომ წარმოადგენს ვითარებიდან შემდგომი გამოსავლის გზების პოვნის შესაძლებლობას და სასამართლო პროზიციებს, საკითხით დაინტერესებულ მხარეთა შორის, სათანადო და საზოგადო ანალიზი სჭირდება.

2014 წლის 15 მაისს, კახა კოჟორიძემ[16] და დალი მამულაშვილმა[17] სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს: ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ასევე ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 მაისის #14990 გადაწყვეტილება მათი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. მოსარჩელეებმა ასევე იშუამდგომლეს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.

- მოსარჩელის დასაბუთებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება უნდა შეჩერებულიყო, ვინაიდან აღნიშნული აქტის აღსრულებით არსებითი ზიანი ადგებოდა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს და თუ არ მოხდებოდა მისი მოქმედების შეჩერება, შეუძლებელი გახდებოდა იმ ინტერესის დაცვა, რომლის დასაცავადაც წარადგინეს სარჩელი. მოსარჩელეების მითითებით, ადგილი უკვე ჰქონდა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების არაერთ ფაქტს და გასაჩივრებული აქტის შეუჩერებლობის შემთხვევაში, მოხდებოდა ზემოაღნიშნული არქეოლოგიური ძეგლის დაზიანების გაგრძელება და შეუძლებელი იქნებოდა მისი პირვანდელი მდგომარეობისა და არქეოლოგიური ღირებულების არგენა, შეუძლებელი იქნებოდა საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური ობიექტის შენარჩუნება. შესაბამისად, შეუძლებელი იქნებოდა იმ ინტერესის დაცვა, რომლის დასაცავადაც წარადგინეს სარჩელი.

- მოპასუხე საქართველოს მთავრობამ სარჩელი არ სცნო და სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მისი დაუშვებლად ცნობის შესახებ. მოპასუხის შეფასებით, როგორ შეიძლება უკანონოდ იქნეს მიჩნეული და ბათილად გამოცხადდეს სადავო აქტი, თუ თავის მხრივ სადაოდ არ არის გამხდარი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის #05/09/221 დასკვნა, რომელსაც სრულად ეყრდნობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 გადაწყვეტილება.

- საქმეში მესამე პირად ჩართული, კომპანია „RMG-Gold"-ის პოზიციით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობაში შემდგარი არაერთი ადმინისტრაციული განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი სრულიად უსაფუძვლოდ და კანონდარღვევით იყო შეყვანილი კულტურის უძრავი ძეგლების ნუსხაში, რის გამოც იგი კანონიერად ამოირიცხა ამ ნუსხიდან, ავტომატურად მოეხსნა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია და არქეოლოგიური დაცვის ზონა. საზოგადოების მხრიდან მომეტებული საჯარო ინტერესის გამო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიამ სამუშაოები უნდა განახორციელოს საერთაშორისო მაღალი რეპუტაციის მქონე მეცნიერ-მკვლევარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ქვეშ, რომელიც, აუცილებლობის გამოვლენის შემთხვევაში დაადგენს და განახორციელებს დამატებითი მულტიდისციპლინური კვლევების სამუშაოებს. მაშასადამე, კომპანია ვერანაირად ვერ შეძლებს საყდრისის ბორცვის აფეთქებას და განადგურებას საკუთარი

---

[16] *ა/ო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე*

[17] *საქართველოს მოქალაქე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის მკვიდრი.*

შეხედულებისამებრ. სამუშაოს გაგრძელებაზე დადებითი დასკვნა გაგვაჩნია 2014 წლის 13 მარტიდან, მაგრამ სამთო დამუშავება, უშუალოდ ბორცვთან მიმართებაში, ჯერ არ დაწყებულა და ვერც დაიწყება, ვიდრე არ განისაზღვრება საბადოს ათვისების სამუშაოების მონიტორინგის მიმართულებები, პარამეტრები და ვიდრე არ შედგება მონიტორინგის გეგმა, რომლის საფუძველზეც შემდგომში სამუშაოების არქეოლოგიური ზედამხედველობა და მონიტორინგი სააგენტოსა და კომპანიას შორის კოორდინაციის პირობებში, მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების დაცვით. შესაბამისად, კომპანიამ „RMG-Gold"-მა სარჩელი არ სცნო.

2014 წლის 30 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმეზე: #31654-14 მიღებული განჩინებით,[18] დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი და შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეჩერდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომელიც განაპირობებს ობიექტის ისტორიულ, კულტურულ თუ არქეოლოგიურ ღირებულებას. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიებების მიუღებლობის პირობებში, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდებოდა, ვინაიდან აღარ იარსებებდა დავის საგანი. სასამართლო იზიარებს შუამდგომლობის ავტორთა პოზიციას მასზედ, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეუჩერებლობით, შესაძლოა მოხდეს ზემოაღნიშნული ობიექტის დაზიანება, რის გამოც, შეუძლებელი იქნება მისი პირვანდელი მდგომარეობისა და არქეოლოგიური ღირებულების აღდგენა. შესაბამისად, შეუძლებელი იქნება იმ ინტერესის დაცვა, რომლის დასაცავადაც მოსარჩელეებმა წარადგინეს სასამართლოში სარჩელი. სასამართლომ, აგრეთვე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ სამართალწამოების ამ ეტაპზე (იგულისხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ეტაპი - ორგ), შეუძლებელია გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ეჭვის დასაბუთებულობის დადგენა, ხოლო სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან წარმოადგენდა საქმის არსებითი განხილვის საგანს. *ცნობისთვის: 2014 წლის 3 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, კომპანია „RMG-Gold"-მა გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის განჩინებით, ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლო, საკუთვრივ, თავისი 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით, საქმის განხილვა შეჩერდა.*

2014 წლის 13 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, საქმეზე: #3/3877-13, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივი სტატუსის საკითხის განხილვის დროს, კიდევ ერთი გადაწყვეტილება გამოიტანა.[19] აღნიშნული დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მხრიდან 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანებისა და 2013 წლის 8 აგვისტოს #03/130 ბრძანების კანონიერების საკითხი, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზაციის მიმართ, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებასა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ განკარგულებები. მოპასუხეებმა (საქართველოს მთავრობა, საქართელოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კომპანია „RMG-Gold", მესამე პირად მოწვეული: საქართელოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), მოსარჩელის მოთხოვნები დაუსაბუთებლად სცნეს, მაგრამ სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" სასარჩელო მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც:

---

[18] *2014 წლის 30 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე: #31654-14, მოსამართლე ნათია ბუსკაძე.*

[19] *2014 წლის 13 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე: #3/3877-13, მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე.*

- ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანება, რომლის საფუძველზეც, ბრძანების მიღების თარიღიდან, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს მოეხსნა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი;

- ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს #03/130 ბრძანება, რომლის საფუძველზეც, ბრძანების მიღების თარიღიდან, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიეცა დავალება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

2014 წლის აგვისტოში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ერთიანად გაასაჩივრეს დავაში ჩართულმა მხარეებმა:

- **აპელანტმა, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ სააპელაციო წესით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.** აპელანტის დასაბუთებით: „მიგვაჩნია, რომ სასამართლომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანების კანონიერების შემოწმების დროს, გადაწყვეტილების გამოტანისას, არასწორად გამოიყენა საქართელოს ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი და საკითხის გადაუწყვეტად, ბათილად სცნო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაავალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, ვინაიდან როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით, სახეზეა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი და აქედან გამომდინარე, სასამართლოსაც სარჩელი ამ ნაწილშიც უნდა დაეკმაყოფილებინა სრულად“ (სტილი დაცულია).

- **კომპანია „RMG-Gold”-ის პოზიციით,** სასამართლოს მსჯელობა, საყდრისის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა მინიტრის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, მოკლებულია სარწმუნო სამართლებრივ არგუმენტაციას. ძეგლთა ნუსხაში დაუსაბუთებლად, კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხვედრილი ობიექტის რიგითი ნომრის გაბათილება არ შეიძლება სამართლებრივი თვალსაზრისით გაუთანაბრდეს ძეგლის სტატუსის მოხსნას, ვინაიდან სამართლებრივი შინაარსის მიხედვით, ეს ორი მოვლენა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. პირველ შემთხვევაში, რასაც საყდრისთან მიმართებით ჰქონდა ადგილი, მოხდა რა ძეგლთა ნუსხაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხვედრილიყო ობიექტის რიგითი ნომერის გაბათილება. ადმინისტრაციულმა ორგანომ აღმოფხვრა 28/05/2013 წლის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ გამოვლენილი კანონდარღვევა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არანაირი ნორმა არ ზღუდავდა და უფრო მეტიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებდა კიდეც მას მოეხდინა შესაბამისი რეაგირება. რაც შეეხება ისეთ სამართლებრივ მოვლენას, როგორიცაა ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა, ასეთ შემთხვევას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ კონკრეტული ობიექტი ძეგლთა ნუსხაში შეტანილი იქნებოდა კანონიერად, შესაბამისი საფუძვლითა და პროცედურების დაცვით, მაგრამ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლით

გათვალისწინებულ შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგებოდა კანონიერად მინიჭებული ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი. ძეგლთა ნუსხაში ამა თუ იმ ობიექტის უკანონოდ, დაუსაბუთებლად და შესაბამისი კანონისმიერი მოტხოვნების იგნორირებიტ შეტანის შემთხვევებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს უფლებამოსილება და კომპეტენცია არ გააჩნია. ამდენად, სრულიად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა გადაწყვეტილებაში იმის მითითება, რომ სამინისტროს 28/05/2013 წლის #03/82 ბრძანებით სპეციალურად შექმნილ კომისიას არ ჰქონდა საყდისი-ყაჩაღიანის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე მსჯელობის უფლება, რომლის დასკვნის საფუძველზეც, გამოვლენილ აშკარა კანონდარღევაზე რეაგირების მიზნით, გამოიცა 05/07/2013 წლის #03/108 ბრძანება და 2006 წლის 30 მარტის #03/133 ბრძანების დანართის რიგითი ნოემრი #2042 ბათილად იქნა ცნობილი.

- **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა სამინისტროს პოზიციით,** 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანების გამოცემის მომენტისთვის, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი, მანამდე, არცერთ ძალადაკარგულ სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად, „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს“ დანართში მოხვედრა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანების მიზნებს, რადგან ობიექტი არ წარმოადგენდა ბრძანების რეგულირების საგანს და აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი სამართლებრივი წინაპირობების გარეშე, შეტანილ იქნა ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტებში. აშკარაა, რომ „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით. აქედან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იყო დაეცვა კანონმდებლობა და ბათილად ეცნო კანონდარღვევით მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც განხორციელდა კიდეც საქართველოს კულტურისა და ძგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანების გამოცემით.

- **საქართველოს მთავრობის პოზიციით,** ამჟამად მოქმედი არც ერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არ ითვალისწინებს, სადავო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფართო საზოგადოების მიერ გასაჩივრების წესს, თუმცა როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე თავად „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება, რაც არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ ნებისმიერ პირს გააჩნია უფლება გაასაჩივროს შესაბამისი სამინისტროს მიერ ხსენებულ საკითხზე მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 და 2013 წლის 8 აგვისტოს #03/130 ბრძანებების კანონიერების საკითხს, საქმეზე: #3ბ/1129-14, მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილი განიხილავს, რომლის მომდევნო სხდომაც 2014 წლის 3 დეკემბერს გაიმართება. როგორც 2014 წლის 29 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე, კომპანიამ „RMG-Gold”-ის კანონიერი ინტერესების დამცველმა განაცახდა, „კომპანია საყდრისი-ყაჩაღიანს, როგორც არქეოლოგიურ ობიექტს, აღიარებს და ამ საკითხზე, კომპანიის ხელმძღვანელი, საქართველოში ჩამოსვლას და ფართომასშტაბიანი შეხვედრის გამართვას აპირებს.“[20] სასამართლომ დავაში მონაწილე მხარეებს მორიგების წინადადებით მიმართა და საკითხზე პოზიციის გამოხატვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელსაც სთხოვა,

[20] http://www.for.ge/view.php?for_id=36793&cat=3

რომელმაც, თავის მხრივ, განაცხადა, რომ „საყდრისის საკითხზე, მხარეების მორიგებასთან დაკავშირებით, სამინისტროს პოზიცია ჯერ ჩამოყალიბებული არ აქვს“.

4. საკითხის ანალიზი

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად, საქმის ფაქტობრივი მასალისა და სამართლებრივი საფუძვლების შეფასებით, ცალსახად გამოიკვეთა მთელი რიგი სამართლებრივი მტკიცებისთვის არსებითი საკითხები, რომელთა დასაბუთებაც, შესაძლებლობას გააჩენდა, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის შემდგომი იურიდიული სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით და დააკმაყოფილებდა საზოგადოების მაღალ ინტერესს, რომელიც საკითხთან დაკავშირებით, ახალი ძალით, 2013-2014 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის შეფასებით, სახელმწიფოს აკისრია პირდაპირი ვალდებულება, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მომავალთან დაკავშირებით, შექმნას სწორი სამართლებრივი გარემო და მიღებული სამართლებრივი აქტები, მიუსადაგოს ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნებს. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის განხილვის პროცესში, საჯარო ინტერესი უნდა დაუახლოვდეს საზოგადოებრივ ინტერესს, რაც შესაძლებელია პრობლემურ საკითხებზე, სამოქალაქო ჯგუფებთან მჭიდრო კომუნიკაციითა და ობიექტთან დაკავშირებულ თემებზე ღია დიალოგით, რასაც საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პროცესში, თვალსაჩინო ადგილი არ ჰქონია. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორებმა, საყდრისი-ყაჩაღიანის მომავალ სტატუსთან მიმართებით არსებული დისკუსია, ნაცვლად საკითხის სამართლებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობით წარმოჩენისა, გახადა პოლიტიკური კონტექსტის და პოლიტიკური დებატების შემადგენელი ნაწილი, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა საკითხში გარკვევის იურიდიულ პროცესს და საზოგადოებაში შექმნა წინასწარი განწყობები საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სტატუსთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რაც მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია, თავიდან ყოფილიყო არიდებული.

ორგანიზაციის შეფასებით, ხელისუფლების ვალდებულების ნაწილს წარმოადგენს, პასუხი გაეცეს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან არსებული ყველა კითხვას, რომელიც 2013-2014 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, საზოგადოებასა და საკითხთან დაკავშირებულ, სხვადასხვა პროფესიულ წრეებში გაჩნდა. საქართველოს საერთო სასამართლოებში მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთი ადმინისტრაციული ორგანოს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, მთლიანად შეცვალეს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული მიდგომები და საზოგადოების გარკვეულ ჯგუფში, საეჭვო გახდა მიღებული გადაწყვეტილებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობით მიღება და თავად საყდრისი-ყაჩაღიანისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის გაუქმების საკითხი. შესაბამისად, ორგანიზაციის მიზანია, საზოგადოებისთვის მკაფიო გახდეს ერთმანეთთან დაკავშირებული, ამ ორი ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივი მსჯელობის საკითხი, რადგანაც თუკი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დადასტურებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებული რომელიმე იურიდიული ნების გამომხატველი სამართლებრივი აქტები, აღნიშნული ვითარება არ შეიძლება, იმთავითვე მივიღოთ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სტატუსის განმსაზღვრელ უპირობო მდგომარეობად. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივი სტატუსის საკითხის შეფასება უნდა დადგინდეს ობიექტის პირვანდელი სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებთ.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სამართლებრივი შეხედულებების ჩამოყალიბებისა და სამართლებრივი სინამდვილის დადგენისთვის, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სტატუსს, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს, ვინაიდან სამართლებრივი ვარაუდის ნაცვლად, საჭიროა უდავო იურიდიული ფაქტები, რომელიც დაასაბუთებდა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების პერიოდს, საფუძვლიანობას, ნამდვილობას. შესწავლილი მასალის და არსებული სამართლებრივი დოკუმენტაციის საფუძველზე, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება მხოლოდ 2006 წლიდან გვხდება, რა დროსაც კანონმა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, ძალადაკარგულად გამოაცხადა 1977 წლის კანონი: „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“. შესაბამისად,

ძალადაკარგულად გამოცხადდა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელიც 1977 წლის კანონის საფუძველზე არსებობდა, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვითაც, კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად. საბჭოთა კანონის მოქმედების პერიოდში, ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებულ, სულ 4074 ობიექტს, 2006 წლიდან, მინისტრის ბრძანების საფუძველზე, მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, ვინაიდან კონკრეტულ ობიექტებსა და კულტურის ძეგლებს, არ ჰქონდათ დაკარგული მხატვრული და კულტურული ღირებულება, როგორც საქართველოს უმნიშვნელოვანეს სულიერ და ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს, არსებობდა მათი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისთვის მომეტებული საჯარო ინტერესი და მიღებულ იქნა უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება. არსებობდა თუ არა 2006 წლის ბრძანების გამოცემის აუცილებლობა? 1999 წლის კანონით გაუქმდა 1977 წლის კანონი და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტები, მაგრამ ამა თუ იმ ძეგლისათვის, ისტორიისა და კულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ აქტი წარმოადგენდა არა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, არამედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, ყველა ის ძეგლი, რომელიც 1999 წლამდე არსებობდა, ინარჩუნებდა თავის სტატუსს, ხოლო 2006 წლის ბრძანებით, ყაჩაღიანს ამ თვალსაზრისითც, შესწავლის გარეშე მიენიჭა ძეგლის სტატუსი. ამდენად, 2006 წლის ბრძანების მიღების აუცილებლობა, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობდა.

ორგანიზაცია მიუთითებს, რომ დღემდე უცნობია საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო დასკვნა. კერძოდ, ობიექტის რომელი გამოკვეთილი ღირებულების გამო იქნა მიღებული გადაწყვეტილება, საყდრისი-ყაჩაღიანისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რადგანაც შესწავლილმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი, არც ერთ (ძველ) სამართლებრივ აქტში არ გვხდება აღნუსხული, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გარემოება არ აკნინებს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის არქეოლოგიურ ღირებულებებს. არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რომელ ეპოქაში და რა სახის საქმიანობას ეწეოდა ადამიანი საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე არსებულ მაღაროებში. საყდრისის არქეოლოგიური ობიექტით დაინტერესება დაიწყო 1983 წლიდან, მოგვიანებით, პროფესორ თ. მუჯირის აღწერაში კი, საყდრისი-ყაჩაღიანი ნახსენებია, როგორც ბრინჯაოს - ადრეული რკინის ხანის „საქართველოს სამთო ძეგლი“. 2004-2012 წლებში, გერმანულ-ქართულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიკვლია საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვი და აღწერა შემდეგნაირად: „უძველესი პრეისტორიული ხანის ოქროს საბადო“. მიუხედავად ცალკეული სამეცნიერო დასკვნებისა, მნიშვნელოვანია საკითხის სამართლებრივი მხარე. შესაბამისად, „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“, მყარი სამართლებრივი მტკიცებულებების გარეშე, არ უნდა მოხვედრილიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის #3/333 ბრძანების დანართში. 2006 წელს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი გახდა სადაო პერიოდში მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგი ნორმები: „სამინისტრო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს“ *(მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი),* „უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიენიჭება უძრავი ძეგლის სტატუსი, თუ მას აქვს ამგვარი ძეგლის მახასიათებელი ნიშნები. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უძრავი ძეგლის სტატუსს ანიჭებს სამინისტრო კომისიის დასკვნის საფუძველზე. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის მომენტიდან ენიჭება უძრავი ძეგლის სტატუსი“ *(მე-16 მუხლი),* „უძრავ ძეგლს კატეგორია ენიჭება კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. უძრავ ძეგლს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიას სამინისტროს წარდგინებით, ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი. უძრავ ძეგლს ადგილობრივი მნიშვნელობის კატეგორიას, ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოს წარდგინებით, ანიჭებს სამინისტრო“ *(მე-18 მუხლი).* ვინაიდან საზოგადოდ ცნობილი არ არის სამინისტროს კომისიის დასკვნა, არც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია, არც მინისტრს და არც პრეზიდენტს, 2006-2007 წლებში, საყდრისი-ყაჩაღიანისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი და შემდგომ „ეროვნული კატეგორია“ არ უნდა მიენიჭებინა. შევნიშნავთ, რომ 1999 წლის 25 ივნისის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად,

იმისთვის, რომ ობიექტს მინიჭებოდა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, ის უნდა ყოფილიყო უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში და ძეგლის სტატუსი უნდა მინიჭებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის დასკვნის საფუძველზე, კანონის აღნიშნული მოთხოვნა კი, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მიმართ, დაცული არ ყოფილა.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ, 2006-2007 წლებში, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან მიმართებით, სათანადო მოკვლევის გარეშე მიიღო უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა საკუთარი გადაწყვეტილებები დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2006 წლის 30 მარტის მინისტრის ბრძანება არ წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მაგრამ აქტით მოწესრიგებული შინაარსის მიხედვით, იგი არის უფლების დამდგენი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს საგნის - კონკრეტულ შემთხვევაში, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს სამართლებრივად მნიშვნელოვან მოვლენას - უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებას. შესაბამისად, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მიმართ, ახალი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ობიექტთან დაკავშირებული სამართლებრივი მნიშვნელობის პრე-ისტორია, მხედველობაში აუცილებლად უნდა მიეღო.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, როდესაც „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა, თუმცა იურიდიულ წრეებში არსებობს მოსაზრებაც, რომ 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება თავისი იურიდიული შინაარსისა და მისი გამოცემის საფუძვლების მხედველობაში მიღებით, არ წარმოადგენდა ბრძანებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის გაუქმების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით მხოლოდ გასწორდა ის კანონდარღვევა, რასაც ადგილი ჰქონდა 2006 წლის ბრძანების გამოცემის დროს.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა, მინისტრს საკითხზე კომისიის სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნაზე, არ უნდა მოეხდინა. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სამინისტროში იქმნება მინისტრის სათათბირო ორგანო - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო *(მე-5 მუხლი, მე-4 პუნქტი).* აღნიშნული საბჭო დაკომპლექტებულია დარგის სპეციალისტებითა და საზოგადო მოღვაწეებით *(მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი).* საბჭოს საქმიანობის წესი და კომპეტენცია განსაზღვრულია საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი *(მე-5 მუხლი, მე-პუნქტი).* ამასთან, კიდევ ერთი სამართლებრივი აქტი - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება #3/192 ეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების რეგულაციურ ნორმებს. ორივე სამართლებრივი დოკუმენტით (ბრძანება, კანონი) იმპერატიულად არის განსაზღვრული კომპეტენციის ხაზი, რომლის საფუძველზეც, მხოლოდ საბჭოს პრეროგატივას წარმოადგენს მიღებული დასკვნის საფუძველზე, ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის ნებისმიერი ობიექტის მიმართ, ძეგლის სტატუსის მინიჭება და მოხსნა, კატეგორიის განსაზღვრა თუ შეცვლა. შესაბამისად, მართალია, მინისტრი უფლებამოსილია შექმნას კომისიები და საბჭოები გარკვეულ საკითხებთან მიმართებით სარეკომენდაციო წინადადებების მიღების მიზნით, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება და მოხსნა, ამ საკითხთან სარეკომენდაციო დასკვნის მომზადება და გაცემა, კანონით, მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, სამინისტროს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სტატუსის საკითხზე გადაწყვეტილება, მომეტებული საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, თუნდაც ერთი კომპეტენტური კომისიის სარეკომენდაციო დასკვნის საფუძველზე, არ უნდა მოეხდინა. კომისიას, მართალია გააჩნდა უფლებამოსილება, საკუთარი მოსაზრებები წარმოედგინა საყდრისი-ყაჩაღიანის

ობიექტის სტატუსის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მინისტრის ბრძანება, მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე უნდა მომზადებულიყო. ამასთან, მინისტრის მხრიდან 2013 წლის 5 ივლისის ბრძანების სამართლებრივი საფუძველი არ გამხდარა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია. ბრძანების გამოცემის დროს, მინისტრის ინტერესი უნდა გამხდარიყო, ამ მიმართულებით, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან მიმართებით, 2006-2007 წლებში და მანამდეც, არსებობდა თუ არა უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან მომზადებული აუცილებელი რეკომენდაციები. სწორედ ამ კონტექსტშია საყურადღებო საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებაც, რომლის საფუძველზეც, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია გაუუქმდა. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, თუკი 2007 წელს, პრეზიდენტს, აღნიშნული ობიექტისთვის, ეროვნული კატეგორიის მინიჭებისთვის შესაბამისი დასკვნა გააჩნდა, 2013 წლის ივლისის გადაწყვეტილებით, მას არ უნდა მოეხდინა თავისივე ბრძანებულების შეცვლა. პრეზიდენტი არ დაეთანხმებოდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული ორგანოს - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მოთხოვნას, ობიექტისთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მოხსნასთან დაკავშირებით, თუკი იარსებებდა თავიდანვე ძეგლის სტატუსის მინიჭებისთვის არსებული დასკვნა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 2013 წლის ივლისში, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა, სხვადასხვა პოლიტიკურ გუნდსა და ინტერესებს გამოხატავდნენ და საყდრისი-ყაღაღიანის ობიექტის სტატუსისთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის გაუქმების დროს, პრეზიდენტის პრინციპული პოზიცია, საზოგადოებას არ მოუსმენია, რაც, აუცილებლად, არგუმენტირებული უნდა ყოფილიყო.

მინისტრის ბრძანების სამართლებლივი წყარო, აღმოჩნდა მხოლოდ 2013 წლის 28 მაისის კომისიის რეკომენდაცია. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 (1) და 96-ე მუხლის პირველი ნაწილი ადმინისტრაციული ორგანოს ავალდებულებს, მოახდინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევის გარეშე აქტის გამოცემა პირდაპირ წარმოადგენს სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, მისი ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლებს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის წესი, რამაც ობიექტთან დაკავშირებით, სწორი მიდგომების სამართლებრივი ჩარჩო-მექანიზმი დაარღვია და პრობლემის მოგვარების ნაცვლად, საკითხის პრობლემური მხარეები კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა.

ორგანიზაცია საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას დაუთმობს საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც უკვე წარმოადგენს პრობლემის მიმართ სამართლებრივი მიდგომების სტრატეგიას. მიგვაჩნია, რომ როგორც 2014 წლის 30 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება (საქმე: #3/1654-14), ასევე ამავე სასამართლოს 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე: #3/3877-13) საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მიმართ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით, ასევე მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანების ბათილად ცნობა და საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის დავალება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართ, საკითხზე შექმნილ სამართლებრივ კაზუისტიკაში, ერთადერთ გამოსავალს და ობიექტური გარემოების საფუძვლიან შეფასებას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სტატუსის განმსაზღვრელ სამართლებრივ გარემოებად. პირიქით, მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სამინისტროს ავალდებულებს მოახდინოს საქმისთვის არსებითი გარემოებების გამოკვლევა და შეფასება, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, მინისტრმა იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სწორედაც მიუთითებს და თავის თავში მოიცავს ობიექტის მიმართ არსებული სამართლებრივი უზუსტობების არსებობას და მისი გადაჭრის კვალიფიციურ და დასაბუთებულ ხედვას. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიმართულია იმმ

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესისკენ, რა დროსაც, ახალი გადაწყვეტილებების პირობებში, რეალურად წარმოჩინდება საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის არა მხოლოდ სტატუსის მინიჭების საჭირობის საკითხი, არამედ საბოლოდ უნდა გაირკვეს, აღნიშნული ობიექტის კულტურული ღირებულების საკითხიც. სხვა შემთხვევაში, სასამართლო ასეთი ინტერესის გარეშე მიიღებდა გადაწყვეტილებას. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში, მსჯელობა ეხება არა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების კანონიერების საკითხს, არამედ მინისტრის მხრიდან გამოცემული ბრძანების კანონმდებლობასთან შეუსაბამო მომზადების წესს. სასამართლომ ეს მსჯელობა განავითარა 2014 წლის 30 მაისის განჩინებაში, რომლითაც სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, სასამართლო კანონიერ ძალაში შესვლამდე შეაჩერა. სხვა შემთხვევაში, თუკი არ მოხდებოდა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, არსებობდა საფრთხე, მომხდარიყო საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის დაზიანება, რის გამოც შეუძლებელი იქნებოდა მისი პირვანდელი მდგომარეობისა და არქეოლოგიური ღირებულების აღდგენა. შესაბამისად, შეუძლებელი იქნებოდა იმ ინტერესის დაცვა, რომელიც ვალდებულებით ეკისრება სახელმწიფოს, ინვესტორ კომპანიას და საზოგადოებას.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას ყველა პირობა, რომლითაც საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით, არ დაირღვევა ინვესტორი კომპანიის სახელშეკრულებო უფლებები და არსებული ეკონომიკური ინტერესები. გასათვალისწინებელია, რომ „RMG-Gold", დღეის მდგომარეობით, 2015 წლის 1 იანვრამდე ფლობს სახელმწიფო ლიცენზიას, თუმცა 2006 წლიდან საყდრისი-ყაჩაღიანის #1 უბანზე შეჩერებული აქვს სამუშაოების განხორციელება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შპს „მაინინგ ინვესთმენთმა", 2012 წლის თებერვალში, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე, #1 უბნის გარდა, შეიძინა 27-წლიანი წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნული კომპანიების მესაკუთრე ერთი იურდიული პირი - „Reach Metal Group". საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, იმის გათვალისწინებით, რომ 2006-2013 წლებში, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის #1 უბანი სარგებლობდა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსით და კომპანია „RMG-Gold" მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა ეკონომიკური საქმიანობა, ძეგლის სტატუსის მოხსნის შემდგომ, კომპანიას უსუსაყიდლოდ გაუგრძელდა ობიექტზე საქმიანობის ლიცენზია 2014 წლის ბოლომდე.

მიგვაჩნია, რომ მთავრობის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება, ინვესტორის ინტერესების დაცვის რეალურ გამოხატულებას წარმოადგენს, ვინაიდან თუკი სახელმწიფო საჯარო უწყებათა ძალით, რომელიმე წინააღმდეგობრივი საკითხის ჯეროვანი გადაწყვეტილება ვერ ხდება, ასეთ ვითარებაში, ინვესტორის უფლებები არ უნდა დაზარალდეს. შესაბამისად, მთავრობის მხრიდან გადაწყვეტილებას, რომელსაც გააჩნდა ერთჯერადი ხასიათი, წარმოადგენდა ინვესტორი კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების, ერთგვარ დეკომპენსირებას და სოლიდარულ ნაბიჯს, რადგანაც კომპანია მოქმედებს ბიზნეს ინტერესების გათავლისწინებით და ნებისმიერი არასტაბილური გარემო, შესაძლებელია, მისთვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. განსაკუთრებით, აღნიშნული გამოწვევები ნათელია, თუკი არსებობს ოფიციალური ინფორმაცია, რომ 2012-2013 წლებში, კომპანიის მხრიდან გაწეულმა ინვესტიციამ შეადგინა 270 მლნ ლარი. კომპანიის დასაქმებულ კონტიგენტს შეადგენს 3000 ადამიანი. 2012 წლის მდგომარეობით, კომპანიამ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადარიცხა 50 მლნ ლარი, ხოლო საყდრისის საბადოს დამუშავებიდან ბიუჯეტში გადასახადების სახით შესული თანხა მხოლოდ პირველი 7-8 წლის განმავლობაში, 100 მლნ ლარს გადააჭარბებს. დასაქმებულთა საშუალო ხელფასი გაუთანაბრდება - 1000 ლარს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლების 85% კომპანიის ფუნქციონირების შედეგია, ხოლო დასაქმებულთა 90% - ადგილობრივი მკვიდრი. კომპანიამ სასამართლო ეტაპზე, უკვე გააკეთა განცხადება შესაძლო ზარალის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, საფრთხე ექმნება „საქართველოს ბანკის" წინაშე კომპანიის 55 მილიონიანი აშშ საბანკო კრედიტის მომსახურებას. შესაბამისად, სახეზეა ინვესტორის მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია, რომლის მიმართაც, უნდა არსებობდეს სათანადო და ჯეროვანი დამოკიდებულება.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც არც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს დააკნინებს და არც ინვესტორს გაუჩნდება ქვეყნის მიმართ უნდობლობა და ნიჰილისტური დამოკიდებულება.

მნიშვნელოვანია საქართველოს საინვესტიციო გარემოს მიმართ, არსებობდეს ნდობა და აღიარება. შესაბამისად, ხელისუფლებამ დასაბუთებული ნაბიჯები უნდა გადადგას, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე მოქმედი კომპანიის საერთაშორისო სამართლით აღიარებულ უფლებებს არ დააზიანებს. ამასთან, უდავოა, საკითხი სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით და ხელისუფლების მიმართ არსებობს კანონიერი მოლოდინი, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით, მოხდება ხელახალი მოკვლევა და კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, ახალი გადაწყვეტილებების მიღება.

5. სარეკომენდაციო წინადადებები

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართ

1. ორგანიზაცია მიმართავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რათა თავად უზრუნველყოს 2013 წლის 5 ივლისის სადავო ბრძანების გაუქმება;

2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განახორციელოს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სრულმასშტაბიანი შესწავლა ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით;

3. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების საკითხი, გადაწყვიტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის შემდგომი ბედი, კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ, მას შემდეგ, რაც სამინისტროს მიერ გადაწყვეტილი იქნება ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების საკითხი.

საქართველოს მთავრობის მიმართ

1. საქართველოს კანონმდებლობით, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა უშუალო გადაწყვეტილებებს არ იღებს და ეს საკითხი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ სამინისტროს მიერ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა მოხდეს დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, მაგრამ მათი ზეგავლენისაგან თავისუფალ ვითარებაში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და სწორი სამართლებრივი ანალიზის პირობებში.

სასამართლოში მოდავე მხარეების მიმართ

1 ორგანიზაცია მოუწოდებს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებულ სასამართლოში მოდავე მხარეებს - საქართველოს მთავრობას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კომპანია „RMG-Gold”-სა და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ - ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით მიიღონ გადაწყვეტილება სასამართლო დავის მორიგებით დასრულების შესახებ.

C ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
http://www.youtube.com/youngbarristers
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 374509, 2 374503

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ცაბო გუგუნაშვილი – 599 010344

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ. #7
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

„ახალგაზრდა ადვოკატები“, დაფუძნების დღიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას ახორციელებს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაციის შემოსავლის წყაროა: შემოწირულობები; გრანტები; კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ახორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2014 წლიდან წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის სრულუფლებიან წევრს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის ალიანსის“ წევრ არასამთავრობო ორგანიზაციას.

“ახალგაზრდა ადვოკატები“, 2013 წლიდან წარმოადგენს HRP-ის პროექტის: „ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების ეროვნულ დონეზე აღსრულების მექანიზმი" იმპლემენტაციისთვის შექმნილ არასამთავრობოთა სამუშაო ჯგუფის წევრს

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შექმნილ იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმირებისთვის ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან წარმოადგენს ახალგაზრდული ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” სრულუფლებიან წევრს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აქტიურად თანამშრომლობს კოლეგა პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, მონაწილეობს საერთო ღონისძიებებსა და შეხვედრებში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე. ამზადებს თემატურ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და მრგვალ მაგიდებს აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში.

პროექტი:

„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“, 2013 *(მიმდინარე)*
„ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოსთან“, 2013 (*მიმდინარე)*
„ერთად ევროპული არჩევანისთვის“, 2014
„ხუდონჰესის" პროექტის სამართლებრივი საკითხების ანალიზი“, 2014
„ადგილობრივი ლიდერები“, 2013

კვლევები/მონიტორინგი

კვლევა: „საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სამართლებრივი საკითხი“, 2014
კვლევა: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ - აჭარაში ქონებაჩამორთმეულთა საქმე“, 2014
კვლევა: „უცნობი მილიონი ლარი – ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ საქველმოქმედო ვახშმის შესახებ“, 2014
კვლევა: „კერძო სექტორში დასაქმებული დედების უფლებრივი მდგომარეობა“, 2014
კვლევა: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები“, 2014
კვლევა: „ქართული რეიტინგული კომპანიები შრომის კოდექსის ახალ სტანდარტებთან იმპლემენტაციაში“, 2014
კვლევა: „მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში“, 2013
კვლევა: „საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ანალიზი“, 2013
კვლევა: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2013
კვლევა: „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში“, 2013
კვლევა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ "ახალი ტალღის" ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ", 2013
კვლევა: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობა და საჯაროობა 2012 წელს", 2013
კვლევა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 აგვისტოს არჩევნების მონიტორინგი“, 2013
კვლევა: „საბჭოთა და პოსტ–საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“ , 2013
კვლევა: „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“, 2012
კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“, 2012
კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“, 2012

„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი წარმოდგენილი კვლევის შესახებ.

თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის ელექტრონულ ვერსიას, გთხოვთ ორგანიზაციას დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:
pryoungbarristers@yahoo.com